გამოცემის 102-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№65 (24.945) შაბათი, 25 - 27 ივნისი, 2022 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 22-27, შიდამთიან რაიონებში - 20-25, მაღალ მთაში - 12-17 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, ზეგ მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსანი ნიუსი

საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის მინიჭების შესახებ ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება და ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის და უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრ პეტერ სიიარტოს შეხვედრის მთავარი საკითხები. ირაკლი ღარიბაშვილმა პეტერ სიიარტოს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისადმი მკაფიო მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბანის მადლიერია პრინციპული პოზიციის დაფიქსირებისთვის.

* * *

დღევანდელი აქციის ორგანიზატორი არის „ნაცმოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთა „სირცხვილია“ და მისი ერთ-ერთი მთავარი დონორი არის სწორედ ვანო ჩხიკვაძის ორგანიზაცია სოროსის ფონდი, - განაცხადა გუშინ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ. მისი თქმით, რასაც ზეიმობს შარლ მიშელი, იმას გლოვობენ აქ „სირცხვილიას“ და „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები. „მთელი საზოგადოება ხედავს, რამხელა ლოგიკური აცდენაა ამ განწყობებს შორის. ვანო ჩხიკვაძე აწარმოებდა აგიტაციას, ისევე როგორც სალომე სამადაშვილი, „ნაცმოძრაობა“ და სხვები, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიეღო“, - აღნიშნა კობახიძემ 24 ივნისის ფართომასშტაბიან აქციასთან დაკავშირებით საუბრისას.

* * *

პრემიერ-მინისტრი და მთავრობა, რომელმაც დააკარგვინა საქართველოს ევროპული პერსპექტივა, უნდა გადადგეს, - განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ. მისი თქმით, ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი დეპოლარიზაციისკენ. „პრემიერ-მინისტრი და მთავრობა, რომელიც დგას პარტიულ ინტერესებზე მაღლა, ნამდვილად გადადგებოდა დღეს, როცა ჩააფლავა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი. პასუხისმგებლობა უნდა აიღონ ამ დიდ ჩაფლავებაზე, რაც მათ გააკეთეს. ამიტომ, დღეს 20 საათზე უნდა შევიკრიბოთ“, - განაცხადა გუშინ ვაშაძემ.

* * *

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციამ საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სამინისტროს მოწვევით, საერთაშორისო სამხედრო გამოფენა EUROSATORY 2022-ში მიიღო მონაწილეობა, სადაც თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს სახმელეთო და აერომობილური შეიარაღებისა და ტექნიკის ნიმუშები, ინოვაციები და თანამედროვე მიღწევები იყო წარმოდგენილი. ოფიციალური დელეგაციების ხელმძღვანელებს საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტრმა სებასტიან ლეკორნუმ უმასპინძლა.

მოამზადა
ია შველიძემ

# პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო კანონპროექტები, რომლებიც დავით გაბაიძემ წარადგინა

*საქართველოს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით, ერთსულოვნად - 81 ხმით მიიღო საქართველოს კანონის პროექტები: „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“*

აჭარის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივა სხდომაზე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ წარადგინა.

საკანონმდებლო პაკეტი მაჭახლის ხეობის ბიომრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამორჩეული ტერიტორიების დაცვას, აღდგენას და გონივრული გამოყენების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

კანონპროექტის მიღება განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, მაჭახლის ხეობის ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით. საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების მიზნით, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი და გაეროს განვითარების პროგრამა (GEF/UNDP) ახორციელებს პროექტს „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“. პროექტის მიზანია, შეიქმნას დაცული ტერიტორიების რეგიონული კომპლექსი დასავლეთ საქართველოს მცირე კავკასიონის ქედის საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ზომიერად ნოტიო კოლხური ტყეების დაცვისა და გონივრულად სარგებლობის მიზნით. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2018 წელს მოხდა მაჭახლის ხეობაში არსებული სიტუაციის შესწავლა, მისი ანალიზი და დაცული ტერიტორიის დაარსებისათვის შესატყვისი კატეგორიის შეთავაზება. კვლევამ აჩვენა, რომ ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე ოპტიმალური იქნებოდა, სწორედ, დაცული ლანდშაფტის შექმნა. საკითხი შეთანხმდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან, სხვა შესაბამის სტრუქტურებთან და მოსახლეობასთან. კვლევის საფუძველზე შემუშავდა მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის კანონის პროექტი.



ია შველიძე

# სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები – შუახევში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*საქართველოს სახალხო დამცველის შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის წარმომადგენლები ნინო ვალიკოვი, ნათია ბერაძე, დასავლეთ საქართველოს სამმართველოს წარმომადგენელი გიორგი ჩარკვიანი შუახევში იმყოფებოდნენ*

მათ სამუშაო შეხვედრა გამართეს შუახევის მერიის თანამშრომლებთან, პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ექიმებთან და ექთნებთან, შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრის პერსონალთან. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა ისაუბრეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის განხორციელებაზე, ზედამხედველობასა და აღნიშნული კონვენციის პოპულარიზაციაზე.

- შეხვედრების მიზანია შშმ პირთა შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციისა და გაეროს შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციის განხორციელების დროს ადგილობრივ დონეზე გამოვლენილი გამოწვევების გაცნობა და მათი მოგვარების გზების ძიება. შეხვედრისას განვიხილეთ შშმ პირთათვის სტატუსის მინიჭების, შესაბამისი მიზნობრივი პროგრამებით მათი უზრუნველყოფის, მუნიციპალურ დონეზე საჭიროებების კვლევისა და დაკმაყოფილების საკითხები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა მერიის თანამშრომლების როლის გააქტიურებაზე შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით მათ სამოქმედო არეალში, - გვითხრა ნინო ვალიკოვმა.

შეხვედრა გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის მხარდაჭერით გაიმართა.



## «ევროპული პერსპექტივა ჩვენს ქვეყანას დამსახურებულად მიენიჭა»

3

## «ლიტერატურა ადამიანის სულის უმაღლესი აზრის ყვავილებია

5

## ბათუმში სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი 118 სახლიდან ამ ეტაპზე მხოლოდ 5-ის სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდება

4


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# ბათუმში არსებული ავარიული კორპუსების ჩანაცვლება-რეაბილიტაციის საკანონმდებლო ნორმები დამტკიცდა

***პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი მესამე მოსმენით განიხილა და კენჭისყრის შედეგად 73 ხმით, 7-ის წინააღმდეგ, მიიღო***





პარლამენტის ოფიციალურ გვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანხმად, „ცვლილება ემსახურება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მრავალბინიანი ავარიული შენობების დემონტაჟს და მათ ჩანაცვლებას თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსებით, რაც მოსახლეობისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს და საცხოვრებელი პირობების შექმნას, ასევე ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. მომხსენებლის, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის მოადგილის ვახტანგ ბაჩიაშვილის განმარტებით, კანონპროექტის განხილვებისას გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით და გამართული კონსულტაციების საფუძველზე ინიცირებულ კანონპროექტში ცვლილებები განხორციელდა. კანონპროექტში ახლებურად ჩამოყალიბდა გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი. ნაცვლად მერის მიერ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღებისა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული იქნებიან ბათუმის საკრებულო და ბათუმის მერიის სათათბირო ორგანო - საბჭო.

ახალი რედაქციით, ავარიული საცხოვრებელი სახლების ახლით ჩანაცვლებისთვის ქალაქის მერს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება საკრებულოსთვის მიმართვის უფლება, თუ მერიის სათათბირო საბჭო გასცემს დადებით რეკომენდაციას პროექტის განხორციელებაზე, რის შემდეგ მერის გადაწყვეტილება მიემართება საკრებულოს და საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ, საკრებულო მიიღებს“, - აღნიშნულია პრესრელიზში. ამასთან, მიღებულ ცვლილებებში გათვალისწინებულია კომიტეტის და პლენარულ სხდომებზე გამოთქმული შენიშვნები და იმ მუხლებში, სადაც საუბარია, თუ რა ბერკეტები უნდა იქნას გამოყენებული იმისთვის, რომ ქალაქგეგმარება არ გაუარესდეს, დაემატა ისეთი კომპონენტები, რაც დააზღვევს ინფრასტრუქტურას და არ გამოიწვევს ურბანულ გაუარესებას. დროებითი ღონისძიების სახით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განაშენიანების დეტალური გეგმის გარეშე განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდა შესაძლებელი იქნება განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევებში.

„თავდაპირველად წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა ცვლილებებს ითვალისწინებდა ასევე კანონში: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“, რომლის თანახმად, სახელმწიფო/მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ავარიული საცხოვრებელი სახლების დემონტაჟისთვის შესაძლებელი იყო გამოყენებული ყოფილიყო ქონების ექსპროპრიაციის წესი. საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე განხილვებისას გამოითქვა მოსაზრებები, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვისთვის მნიშვნელოვანია ადეკვატური საჯარო ინტერესების არსებობა და თანაბარზომიერების პრინციპის დაცვა. საკითხის ინიციატორებმა გამოთქმული შენიშვნები გაითვალისწინეს და შესაბამისი ცვლილებები „სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში აისახა, ხოლო „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირეს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

**ია შველიძე**

# ბათუმის მერის ვიზიტი – ბულგარეთში

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**

***არჩილ ჩიქოვანი ოფიციალური ვიზიტით ბულგარეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა, სადაც შეხვედრა გამართა ბურგასის მერ დიმიტარ ნიკოლოვთან***



შეხვედრის ფარგლებში, ბათუმსა და ბურგასს შორის ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების განახლების აქტს მოეწერა ხელი..

- მნიშვნელოვანია, რომ ორმა საპორტო ქალაქმა თანამშრომლობისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის, მოქალაქეთა მომსახურების, ტურიზმის განვითარების და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებები განსაზღვრა. ბათუმსა და ბურგასს შორის პარტნიორული ურთიერთობები ხელს შეუწყობს გამოცდილების გაზიარებასა და თანამშრომლობის გაღრმავებას, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

შეხვედრაზე მხარეებმა ბათუმსა და ბურგასს შორის არსებულ მრავალწლიან ურთიერთობებსა და სხვადასხვა სფეროში გამოცდილების გაზიარებაზე ისაუბრეს.

არჩილ ჩიქოვანმა მადლობა გადაუხადა ბურგასის მერ დიმიტარ ნიკოლოვსა და ბულგარეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩ თამარ ლილუაშვილს პარტნიორობისა და თანამშრომლობისთვის.

# ზაზა შავაძემ შვეიცარიისა და ავსტრიის ელჩებს მადლობის სიგელები გადასცა

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**

***აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰაიდი გრაუ და ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში თომას მიულმანი ხულოს მუნიციპალიტეტში, გოდერძის ალპურ ბაღში იმყოფებოდნენ, სადაც შვეიცარია-საქართველოს და ავსტრია-საქართველოს შორის 30-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობების აღსანიშნავად ღონისძიება გაიმართა***



- სოფლად მოსახლეობისთვის განვითარების ახალი შესაძლებლობების შექმნა და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა შვეიცარიისა და ავსტრიის აჭარის რეგიონთან ურთიერთობის სტრატეგიული ჩარჩოს მთავარი მიზანია. გვჯერა, რომ ევროპული სახელმწიფოების ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენს რეგიონში მეტი გამოცდილება და სიახლე დაინერგება, რაც შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს, - აღნიშნა შეხვედრისას მინისტრმა.

რეგიონში სოფლის მეურნეობის დარგის - მეცხოველეობის მიმართულებით გაწეული მხარდაჭერისთვის, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, მადლობის სიგელით დააჯილდოვა შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰაიდი გრაუ და ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში თომას მიულმანი.

ჰაიდი გრაუმ ხაზი გაუსვა პროგრამის მიღწევებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ახალი სამუშაო ადგილების და შემოსავლის წყაროს შექმნის, განსაკუთრებით, ჯარას თაფლის წარმოების მხარდაჭერის მიმართულებით.

- მოხარული ვარ განვაცხადო, რომ შვეიცარია, ავსტრიასა და შვედეთთან ერთად, კავკასიის ალიანსების პროგრამის ახალი ფაზის მხარდამჭერია. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 6.5 მილიონი აშშ დოლარია. პროგრამა დაეხმარება მეფუტკრეობის, რძისა და ხორცის, ველური მცენარეებისა და აბრეშუმის წარმოებას, ასევე, გოდერძის ალპური ბაღის განვითარებას, - განაცხადა მან.

დელეგაციის წევრებმა, მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავასთან ერთად, დაათვალიერეს ქედის მუნიციპალიტეტში თაფლის გადამამუშავებელი საწარმო „კახური ტრადიციული მეღვინეობა აგრო-ქედა“, რომელიც მაღალი ხარისხის ბრენდირებულ თაფლს ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებისთვის აწარმოებს.

# ლტოლვილთა მსოფლიო დღე – სოლიდარობის მარშით

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა ლტოლვილთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, საქართველოში გაეროს ლტოლვილთა სააგენტოსა და ქალაქ ბათუმის მერიის ორგანიზებულ სოლიდარობის მარშს უმასპინძლა.

მსოფლიოში ლტოლვილთა დღე 2000 წლიდან აღინიშნება, როდესაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ შესაბამისი რეზოლუცია მიიღო. ამ დღეს მთელი მსოფლიო სოლიდარობას უცხადებს იძულებით გადაადგილებულ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა კონფლიქტის, ძალადობისა და დევნის გამო იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლები, ახლობლები და უცხო ქვეყანაში თავიდან დაეწყოთ ცხოვრება. ლტოლვილთა მსოფლიო დღე მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, რათა მან გამოხატოს მხარდაჭერა იძულებით გადაადგილებული ოჯახების მიმართ.

აჭარაში მცხოვრებ ლტოლვილებთან ერთად, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ, ვიცემერმა ლევან დავითაძემ, მერის მოადგილე ლელა სურმანიძემ, საქართველოში გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ხელმძღვანელმა კემლინ ფურლმა, ბათუმის საკრებულოს წევრებმა, სხვადასხვა ქვეყნის ელჩებმა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

# პრიორიტეტი – მეფუტკრეობა

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**

***აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი მეფუტკრეობის განვითარება და თაფლის წარმოების ხელშეწყობაა***

აღნიშნული მიმართულებით უწყება არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს.

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე მოადგილესთან ერთად, მეფუტკრე ფერმერებს და ასოციაციის ხელმძღვანელებს შეხვდა და მეფუტკრეობის განვითარების მიმართულებით სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების და მხარდამჭერი აქტივობების შედეგებზე, თაფლის სექტორში არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრა.

„სამინისტროსთვის მეფუტკრეობის განვითარება და ხელშეწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებლობა გვაქვს, განვიხილოთ დარგში არსებული ყველა გამოწვევა, ვიმსჯელოთ მათი გადაჭრის გზებზე, შევაფასოთ სექტორის განვითარების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და მიღწეული შედეგები. იმისთვის რომ დარგი იყოს განვითარებული, თანამედროვე და წარმატებული, საჭიროა განისაზღვროს ჩვენი რეალური შესაძლებლობები და არსებული გამოწვევები“, - განაცხადა შეხვედრაზე მინისტრმა.

# „ევროპული პერსპექტივა ჩვენს ქვეყანას დამსახურებულად მიენიჭა“



***ევროპულმა საბჭომ უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, ხოლო საქართველოს შემთხვევაში - აღიარა ქვეყნის ევროპული პერსპექტივა. ევროპარლამენტში განაცხადეს, რომ დათქმული პირობების შესრულებით ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს 6 თვეში საქართველოც მიიღებს***

ევროპული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები თბილისში შეაფასეს.

„ისტორიული“ - ასე უწოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 23 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებას გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე. **ირაკლი ღარიბაშვილმა** აღნიშნა, რომ ევროპული პერსპექტივის მინიჭებით საქართველოს ევროპაში კარი სამუდამოდ გაუხსნეს.

- მინდა შევაფასო ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილება, რომელიც გუშინ იქნა მიღებული. როგორც თავად ჩვენმა ევროპელმა ლიდერებმა, პარტნიორებმა, ჩვენმა მეგობრებმა აღნიშნეს, გუშინ იყო მართლაც ისტორიული დღე, საქართველომ, ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ის, რაც დავიმსახურეთ, ეს არის დამსახურებული მიღწევა. ევროპული პერსპექტივა მიენიჭა საქართველოს, ჩვენს ქვეყანას დამსახურებულად. რა თქმა უნდა, თქვენ ნახეთ, რომ ჩაიწერა პირდაპირ, ღიად, საჯაროდ, რომ რეალურად ევროპამ კარი გაუხსნა ჩვენს ქვეყანას. ეს არის აღიარება ჩვენი ხალხის ევროპული იდეალებისადმი მისწრაფების, მათი ერთგულების, ჩვენი შეუპოვრობის, ჩვენი პრინციპულობის, ჩვენი ბრძოლის და ჩვენი მთავრობის 10-წლიანი მუშაობის შედეგის აღიარებაც. ჩვენ მოვისმინეთ მათი შეფასება, რომ ევროპული პერსპექტივის მინიჭებით რეალურად ჩვენს ქვეყანას სამუდამოდ გაუხსნეს კარი ევროპაში და პირდაპირ იქნა ჩაწერილი, რომ ქვეყანას მიენიჭა ევროპული პერსპექტივა იმისთვის, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, ეს ნამდვილად არის დამსახურებული მონაპოვარი და მე ვულოცავ ქართველ ხალხს, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ მმართველი გუნდი და ოპოზიცია ერთად შეძლებენ პოლარიზაციის დასრულებას ქვეყანაში, რაც არის კანდიდატის სტატუსის მისაღებად დათქმული მთავარი პირობა.

- ჩამოთვლილ პირობებში არის ერთი პირდაპირი მითითება, მუხლი, პირობა, რომ ჩვენმა პოლიტიკურმა ძალებმა უნდა მოვახდინოთ პოლარიზების დასრულება. მინდა, ჩვენი გუნდის სახელით განვაცხადო მზაობა, რომ ყოველთვის მზად ვართ და კონსტრუქციული დიალოგისთვის კარი არასდროს დაგვიხურავს. მინდა, ხაზგასმით და მკაფიოდ ვთქვა, რომ ყოველთვის გვქონდა, გვაქვს და ასევე მუდამ გვექნება მზაობა, რომ ისეთ საკითხებზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავალს ეხება, ვიმუშაოთ ერთად, გვქონდეს რეალური დებატები, დისკუსია, მსჯელობა და ეს, რა თქმა უნდა, უნდა ხდებოდეს ნორმალურ, მშვიდ, კონსტრუქციულ, ჯანსაღ ვითარებაში. ეს არის ჩვენი სურვილი. იმედი მაქვს, ამ პასუხისმგებლობას ჩვენი ოპონენტებიც გაითვალისწინებენ, გაიზიარებენ. ერთ-ერთი მთავარი, პირველი პირობა ეხება პოლარიზების დასრულებას. ეს საკითხი მათი ვალდებულება და პასუხისმგებლობაცაა, მხოლოდ მმართველი გუნდი ვერ განახორციელებს, თუ მათი მხრიდანაც არ იქნა გადადგმული რეალური ქმედითი ნაბიჯები. მინდა, კიდევ ერთხელ ოპტიმისტურად განვაცხადო. მჯერა, ისინი საკუთარ ამბიციებს, სურვილებს, პირად მიზნებს დააყენებენ ქვეყნის ინტერესებზე დაბლა, ვინაიდან ჩვენთვის მთავარი ჯერ არის ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ქვეყნის მომავალი და შემდეგ პარტიული და პირადი ინტერესები. მინდა ხალხს ვუსურვო მშვიდობა, ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და ევროპული მომავალი. საქართველოს მომავალი არის ევროკავშირში, - განაცხადა პრემიერმა.

ევროპული საბჭოს გუშინდელი გადაწყვეტილება მართლაც ისტორიული იყო - სამწუხაროდ, ქართული ოპოზიციის ნაწილისთვის სენად ქცეული რადიკალიზმი, მათ ამ ისტორიის დანახვის შესაძლებლობას უზღუდავს და ხელს გვიშლის ქვეყნის ინტერესებისთვის გაერთიანებაში, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა** პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, ყველამ, ვინც წლების განმავლობაში ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის საკითხზე მუშაობს, კარგად იცის აღნიშნული გადაწყვეტილების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის.

- უპირველეს ყოვლისა, მინდა, მადლობა გადავუხადო ევროკავშირის ლიდერებს რეგიონისთვის ამ რთულ დროს ერთიანობის ჩვენებისთვის და საქართველოსთვის, უკრაინისთვის და მოლდოვისთვის ევროპული პერსპექტივის ერთხმად აღიარებისთვის. ვულოცავ უკრაინას და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. მნიშვნელოვანია, რომ რუსული აგრესიის ფონზე ევროკავშირმა მათ ასეთი ძლიერი სოლიდარობის ნიშანი გაუგზავნა. ასევე, მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის ავტომატური კანდიდატობის საგზაო რუკის განსაზღვრა. ყველამ, ვინც წლების განმავლობაში ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის საკითხზე მუშაობს, კარგად იცის, პოლიტიკურად, ისტორიულად და პრაქტიკულად რამდენს ნიშნავს ეს გადაწყვეტილება საქართველოს ევროკავშირში მომავალი გაწევრიანებისთვის. გუშინდელი გადაწყვეტილება მართლაც ისტორიული იყო: საბჭომ აღიარა სამივე ქვეყნის ევროპული პერსპექტივა, ანუ ევროკავშირი დაჰპირდა სამივე ქვეყანას, რომ ისინი გახდებიან ევროკავშირის წევრები, თუმცა ამისთვის სამივე ქვეყანას რეფორმების და ევროკავშირთან ინსტიტუციური დაახლოების ხანგრძლივი პროცესის გავლა მოუწევს. საბჭომ სამივე ქვეყნის შემთხვევაში გამოიყენა პირობითობის დათქმა და სამივე ქვეყანას შინაარსობრივად თითქმის იდენტური პირობები დაუყენა. საქართველოს შემთხვევაში - როგორც სტატუსის მიღების პირობა, ხოლო უკრაინის და მოლდოვას შემთხვევაში - როგორც სტატუსის შენარჩუნების პირობა. შესაბამისად, სამივე ქვეყნის ამოცანაა ამ პირობების დაკმაყოფილება, იმისთვის რომ კანდიდატობის სტატუსი იყოს პირობების გარეშე, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. შალვა პაპუაშვილმა ხაზი გაუსვა ევროკავშირის გადაწყვეტილებაში საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ერთიანობის მნიშვნელობას.

- ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება და ევროკომისიის რეკომენდაციები პირდაპირ აღიარებს, რამდენად დიდი პროგრესი განიცადა საქართველომ ევროპისაკენ მიმავალ გზაზე ბოლო წლებში. ყველაზე მეტად, რაც ხელს გვიშლის მიზნის მიღწევაში მომავალ ექვს თვეში და მომდევნო წლებში, ისევ და ისევ გათიშულობა, რადიკალიზმი, გაუტანლობა, დაპირისპირება, სიძულვილი და უიმედობაა. ამ ყველაფრის ნაცვლად, დღეს ყველაზე დიდი ევროპელობა და პატრიოტიზმი თანხმობა, ერთმანეთის მხარდაჭერა და მომავლის რწმენაა. დღეს ევროპულობა და პატრიოტიზმი ერთი და იგივეა. მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ პარლამენტი მზად არის, იმუშაოს იმ პრიორიტეტებზე საპასუხოდ, რომლებიც ევროკომისიის რეკომენდაციებში არის ასახული, - აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა. მისივე თქმით, რადიკალური დღის წესრიგის შეცვლა არის ყველაზე მოკლე, მარტივი და სწორი გზა იმისთვის, რომ დეპოლარიზაციის კუთხით დასახული მიზნები შესრულდეს.

განცხადებები გაკეთდა ოპოზიციაშიც. „ლელოს“ დეპუტატმა **სალომე სამადაშვილმა** ჟურნალისტებთან საუბრისას თქვა, რომ კანდიდატის სტატუსის ვერ მიღებით ქვეყანამ უზარმაზარ რესურსებზე წვდომა დაკარგა.

- ქართველ ხალხს ევროკავშირმა უთხრა, რომ მას ექნება მომავალი ევროპაში, ამავე დროს გვითხრეს, რომ ვიდრე ქვეყანას მართავს ოლიგარქიული რეჟიმი, ვერ შევძლებთ იმ გახსნილ კარებში შესვლას, რომელიც რჩება პოტენციურად ღია ქართველი ხალხისთვის. ამიტომ უნდა გვესმოდეს, ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად გაუკეთდეს დემონტაჟი ოლიგარქიულ მმართველობას ქვეყანაში, რომ დავიბრუნოთ ის, რაც გუშინ დავკარგეთ. ჩვენ დავკარგეთ წვდომა უზარმაზარ რესურსებზე ქვეყნის განვითარებისთვის და ცხოვრების გაუმჯობესებაზე, ნურავინ მოგატყუებთ და იცოდეთ, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა იმ კანდიდატობის სტატუსს, რომელიც უკრაინას და მოლდოვას მიეცა და იმ პერსპექტივას შორის, რადგან უკრაინა და მოლდოვა მალე დაიწყებენ მოლაპარაკებებს გაწევრიანების შესახებ, საქართველო კი დაიწყებს თუ არა, ისევ უცნობია, - განაცხადა სამადაშვილმა. მისივე თქმით, გაუგებარია, რას ზეიმობს „ქართული ოცნება“.

- ქართველ ხალხს უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ აუცილებლად ვიზეიმებთ, გვექნება დღე, როცა საზეიმოდ გვექნება მართლაც საქმე, ოღონდ ეს დღე მოვა მაშინ, როცა ოლიგარქიული რეჟიმის დემონტაჟი მოხდება და ეს მართლა გახსნის ჩვენთვის შესაძლებლობას, გავხდეთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. უნდა გვესმოდეს, რომ ამ ხელისუფლების პირობებში არც ერთი ის პირობა არ შესრულდება, რომელიც მოგვცეს კანდიდატის სტატუსის მისაღებად, - აღნიშნა მან.

„გირჩის“ დეპუტატი **იაგო ხვიჩია** კი მიიჩნევს, რომ ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება ერთგვარი შანსიც არის ქვეყნისთვის, რომ „გონს მოვეგოთ, აზრზე მოვიდეთ და თვალი გავუსწოროთ საკუთარ პრობლემას, რომელიც შიგნიდან გვჭამს უკვე მინიმუმ 30 წელია“.

- ჩემი აზრით, პოლიტიკური სპექტრი უნდა ჩაიკეტოს ერთი თვე სადღაც, გარედან უნდა გადავკეტოთ კარი, შიგნით დავსხდეთ და ვთქვათ, რომ სანამ არ შევთანხმდებით, აქედან არ გამოვალთ, უნდა ითქვას, ვის რა უნდა ამ ქვეყანაში. როცა დავინახავთ გულწრფელად და კონკრეტულად რა უნდათ, ჩამოყალიბდება გეგმა, როგორი საქართველო უნდა პოლიტიკურ სპექტრს „ქართული ოცნების“ მმართველობის მერე, - განაცხადა ხვიჩიამ. მისივე თქმით, დეპოლარიზაციას ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება და მისი კიდევ უფრო მეტად გაკეთილშობილება.

- დეპოლარიზაციის შესახებ სადღეგრძელოდ არ ჩავთვლი იმას, თუ საქართველოს მთავრობა ეცდება აღმოფხვრას პოლარიზაციის მთავარი წყარო - ასეთი წყაროა 5%-იანი ბარიერი და საარჩევნო ბლოკების არდაშვება. თუ მართლა გვინდა, პოლარიზაცია შევამციროთ, ამისთვის საჭიროა ის გარემოებები აღმოვფხვრათ, რაც მხოლოდ ხელს უწყობს პოლარიზაციას. სიტყვით რასაც ლაპარაკობენ, არ მჯერა, რომ „ქოცები“ ან „ნაცები“ ერთმანეთის ლანძღვას მოუკლებენ. საქმე იქნება ის, თუ მთავარი წყარო - შუღლით და ბოღმით მართვა აღმოიფხვრება. თუ მართლა გვინდა დეპოლარიზაცია, მაშინ საქმიანად უნდა ვიმოქმედოთ, - განაცხადა ხვიჩიამ.

შეგახსენებთ, ევროკომისიამ 17 ივნისს გამოაქვეყნა რეკომენდაციები და განაცხადა, რომ მათი შესრულების შემდეგ საქართველო მზად იქნება მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი. ჩამონათვალშია პოლიტიკური პოლარიზაციის მოგვარება, სახელმწიფო ინსტიტუტის სრული ფუნქციონირების, მათი დამოუკიდებელი და ეფექტური ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება, სასამართლოს რეფორმა, „დეოლიგარქიზაცია“ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის გზით, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, მედიასაშუალებების თავისუფლების ხარისხის ზრდა და სხვა.

## უცხოეთი

23 ივნისს ევროპულმა საბჭომ უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, ხოლო საქართველოსთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება, აღიაროს ქვეყნის ევროპული პერსპექტივა. ევროკავშირის საბჭომ განაცხადა, რომ მზადაა საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს, როგორც კი დასახული პრიორიტეტები შესრულდება. „ჩვენ ევროპის კონტინენტისთვის ისტორიული მომენტის მოწმენი ვართ. უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს - სამივეს, პროცესის შემდეგ ეტაპზე გადასვლამდე, სამუშაო აქვს. მათ იციან, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მათი დემოკრატიისთვის, ეკონომიკისა და მოქალაქეებისთვის. ეს ისტორიული ნაბიჯი ყველას გვაძლიერებს“, - აღნიშნულია ევროკომისიის განცხადებაში.



* * *

საქართველო ახლა ნამდვილად ადგას ევროპულ გზას. ეს არის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი და ჩვენ არ უნდა დავაკნინოთ ეს. პირიქით, ეს ასევე არის აღიარების ნიშანი და მკაფიო მხარდაჭერა, - ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ჟოზეფ ბორელმა განაცხადა. „ახლა, ევროპული გზა საქართველოსთვის სრულყოფილად არის განსაზღვრული. იცით რა, როგორ და როდის. მზად ვართ ერთად მუშაობისთვის, საქართველოს საზოგადოების მხარდაჭერისთვის, ამ მნიშვნელოვანი შესაძლებლობის გამოყენებისთვის მისი ევროპული მომავლის ასაშენებლად,“ - განაცხადა ბორელმა.

* * *

ანკარა გამოიძიებს უკრაინის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი მათ მარცვლეულს იპარავს, - ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა. მისივე თქმით, ოფიციალური ანკარა არ დაუშვებს მსგავსი მარცვლეულის იმპორტს თავის ქვეყანაში. „ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით ნებისმიერ განცხადებას და მათ სერიოზულად ვიძიებთ. ჩვენ ყოველ ჯერზე ვაწვდით ინფორმაციას შედეგებზე, განსაკუთრებით უკრაინულ მხარეს“,- განაცხადა ჩავუშოღლუმ. ცნობისთვის, ივნისის დასაწყისში უკრაინის ელჩმა თურქეთში განაცხადა, რომ თურქეთი იყო მათ შორის, ვინც რუსეთისგან იღებდა უკრაინიდან მოპარულ მარცვლეულს.

* * *

რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ ბელორუსთან ერთობლივი თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების მოწოდებით გამოვიდა, რაც ერთიანი რეგიონალური საჰაერო თავდაცვის სისტემის გაძლიერებასაც გულისხმობს. „გარემოებები გვკარნახობს სასწრაფო ერთობლივი ზომების მიღების საჭიროებას საკავშირო სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად, ჯარების რეგიონალური გადაჯგუფებისა და საჰაერო თავდაცვის ერთიანი რეგიონალური სისტემის საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების მიზნით“, - განაცხადა შოიგუმ ბელარუს კოლეგასთან მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე. მან ბელარუსს რუსეთის უახლოესი მეგობარიც უწოდა.

**გვერდი მოამზადა**
**ია შველიძემ**

# ბათუმში სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი 118 სახლიდან ამ ეტაპზე მხოლოდ 5-ის სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდება

ფიქრია დავლაძე 579 25 25 72

***ბათუმის მერიის ინფორმაციით, ქალაქში არსებული სიცოცხლისთვის საშიში ნაგებობებიდან რამდენიმე სასწრაფო წესით დემონტაჟს საჭიროებს, მოსახლეობას კი, სანამ ახალი საცხოვრისით დააკმაყოფილებენ, არაუგვიანეს 2 წლის განმავლობაში, ქირით გაიყვანენ***. გარდა ამისა, მთავრობა მიიჩნევს, რომ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესში“ ცვლილება უნდა შევიდეს, ანუ ქონების ჩამორთმევა უნდა მოხდეს სათანადო და წინასწარი კომპენსაციის შემდეგ, რათა ავარიულ სახლებში მცხოვრები მოქალაქეების სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნათ. შესაბამისი ცვლილების დამტკიცებას მთავრობა პარლამენტს დაჩქარებული წესით სთხოვს.





- ამ ეტაპზე სულ 5 ავარიული კორპუსის სადემონტაჟო და ახლის აშენების სამუშაოებზეა ხელშეკრულება გაფორმებული. ესენია: კვინიტაძის 1, 3, 11 ასევე, გრიშაშვილის 9 და ხინიკაძის 7 ნომრები. რომელთა ჯამური ღირებულებაც 14 764 505 ლარს შეადგენს. აღნიშნული მისამართებიდან კვინიტაძის №1, №3, და №11-ში პროექტის შეთანხმება ხდება „დიზაინ ბილდის“ მეთოდით. გრიშაშვილის ქუჩაზე უკვე შემოიღობა ტერიტორია, რათა ჩატარდეს შემდგომი ღონისძიებები. ხინიკაძის ქუჩაზე კი ამ დროისთვის სადემონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს, - განაცხადეს ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში. თამარის დასახლებაში ბარაკში მცხოვრები ოჯახები წლების განმავლობაში სიცოცხლისთვის შეუსაბამო გარემოში ცხოვრობენ. კედლებს შორის ნაპრალები, არამყარი იატაკი, ჩამოცვენილი ბათქაში - ეს მცირედი ჩამონათვალია იმ პრობლემებისა, რომლებიც ადგილობრივებს აწუხებთ. ისინი გვიყვებიან, რომ უბანში მძიმე ტექნიკით დატვირთული ტრანსპორტის გავლისას ბარაკში ბიძგებს გრძნობენ. როგორც აქ მცხოვრებნი ამბობენ, №22 სახლი შესაბამისმა სამსახურებმა ყველაზე უვარგის და ამორტიზებულ ნაგებობად შეაფასა. ამის მიუხედავად, მთავრობის გადაწყვეტილებით, თამარის დასახლებაში სხვა ბარაკის დემონტაჟი განხორციელდა, სადაც ორსართულიანი ნაგებობის ნაცვლად 7-სართულიანი შენობის აგება იგეგმება.

- მიუხედავად იმისა, რომ პრობლემის შესახებ მერიას არაერთხელ ვაცნობეთ და არსებობს შესაბამისი დასკვნაც, სადაც წერია, რომ ამ ბარაკში შეუძლებელია ადამიანმა შიშის გარეშე იცხოვროს და ნებისმიერ წამს შეიძლება ჩამოინგრეს ჭერი ან ჩავარდეს იატაკი, ან მთლიანად ჩამოიშალოს კედლები, ეს გარემოება მაინც არ იქნა გათვალისწინებული. ველოდებით, როდის დადგება ჩვენი ჯერი, იმედია, მანამდე ტრაგედია არ დატრიალდება. აქვე ჩვენ წინ ორსართულიანი ბარაკის ტიპის ბინა დაანგრიეს, მოსახლეობა კი ქირით გაიყვანეს, გვეგონა ჩვენიც მოხვდებოდა ამ პროგრამაში, თუმცა ჯერ კიდევ ველოდებით. გამოითქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ახალ აშენებულ კორპუსში ჩვენთვისაც იქნება საცხოვრებელი ფართი გათვალისწინებული, იმასაც გვეუბნებიან, რომ კომპენსაციას გადაგვიხდიან, რისი წინააღმდეგნიც ვართ, რადგან თანხა იმ რაოდენობის არ იქნება, ჩვენ რომ სამაგიერო შევიძინოთ, ან გირაოთი ავიღოთ. მოგეხსენებათ, დღეს რა ფასი ადევს უძრავ ქონებას. ჩვენი სურვილია, ბარაკის დემონტაჟის შემდეგ ადგილზე აშენდეს ახალი საცხოვრისი ან დაგვაკმაყოფილონ ამავე უბანში არსებული ალტერნატიული ფართებით, - განაცხადეს №22 სახლში მცხოვრებლებმა. ბარაკთან დაკავშირებით მერია მას შემდეგ მოახდენს რეაგირებას, რაც ყველა საჭირო პროცედურა იქნება გავლილი.

- აღნიშნულ სახლთან დაკავშირებით მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს საპროექტო დავალება გაცემული აქვს. თამარის დასახლება, სახლი №22 ჩართულია პროგრამაში „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“. ამასთან დაკავშირებით სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებთ. ეტაპობრივად განხორციელდება ნებისმიერი სამუშაოები, - განაცხადეს ბათუმის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოში. გარდა ამისა, მერიის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველომ ბათუმში ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა, რაც 2




999 973 ლარს მოიცავს. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს 2019 წლის 1-ლი იანვრიდან, 2022 წლის 17 ივნისამდე პერიოდში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სირთულისა და შინაარსის სამუშაოები, არანაკლებ 4000 000 ლარის ოდენობით. მერიის ინფორმაციით, ბათუმში გამოვლენილია 118 ავარიული სახლი, სადაც 3000 მდე ოჯახი ცხოვრობს. აღნიშნული სახლები გამაგრებას არ ექვემდებარება.

**ჯანმრთელობა**

# დეპრესია და მისი სირთულეები – მოზარდებში

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

***უგუნებობა და სევდიანი განწყობა ყველა მოზარდის ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ თუ ეს მდგომარეობა დიდხანს გრძელდება, გარშემომყოფებმა უნდა გააცნობიერონ, პრობლემა მწვავეა და გადაჭრას საჭიროებს***

*მოზარდების დეპრესიის შესახებ საზოგადოებაში მრავალი მცდარი შეხედულებაა გაბატონებული. მართალია, ეს უხეში და ჯიუტი ასაკია, მაგრამ თინეიჯერების უმეტესობას შესწევს უნარი, საკუთარი ვნებათაღელვა დააბალანსოს კარგი მეგობრების, სწავლაში, სპორტში ან სხვა საქმიანობაში მიღწეული წარმატებების ხარჯზე. ბავშვის ფსიქოლოგიურ წონასწორობაზე გაზეთი „აჭარა“ ესაუბრა ფსიქოლოგს, რეაბილიტაციის და განვითარების ცენტრის ქცევით თერაპევტს* ***სოფიკო ჩინბას***.

**- სანამ უშუალოდ ბავშვებისა და მოზარდების ასაკისთვის დამახასიათებელი დეპრესიის სიმპტომებზე ვისაუბრებდეთ, მინდა გკითხოთ, როგორ უნდა განვასხვაოთ დეპრესია სევდისა და მოწყენილობისგან?**

- ზოგადად, დეპრესია და სევდა განსხვავებული მდგომარეობებია. სევდა არის ემოცია, რომლის დროსაც თავს ცუდად გრძნობ და სხვებსაც ეტყვი ამას, რადგან განიცდი, ხოლო ფსიქიკური დაავადების დროს დიაგნოზის დასმას სპეციალისტის გარეშე ვერავინ შეძლებს. ასევე, მნიშვნელოვანია ხანგრძლივობა. ზოგიერთი ემოცია დიდხანს გრძელდება, ზოგი - ძალიან მცირე დროის განმავლობაში, ხოლო დეპრესია შესაძლოა გაგრძელდეს თვეები. ამ შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, ყველაფერი იყოს ძალიან კარგად, თუმცა თქვენ მაინც გქონდეთ დეპრესიის სიმპტომები. სევდიანი ადამიანი სუიციდზე არ ფიქრობს, დეპრესიის შემთხვევაში კი საქმე სულ სხვაგვარადაა, ვინაიდან ამ მდგომარეობას შეუძლია ცხოვრების შეცვლა.



**- დეპრესიას, ძირითადად, რა სიმპტომები ახასიათებს?**

- დეპრესიისთვის დამახასიათებელია სასოწარკვეთა, პესიმიზმი, გაღიზიანება, ენერგიის ცვლილება და სისუსტის შეგრძნება, წონის ცვლილება, სუიციდური მცდელობები, ძილის რუტინასთან დაკავშირებული სირთულეები. ძალიან ბევრი ფაქტორია, რაც მოქმედებს დეპრესიული ფონის გამწვავებაზე. არსებობს დეპრესიის ნაკლებად მწვავე ფორმებიც. დეპრესიის სიმწვავე განისაზღვრება სიმპტომების რაოდენობითა და ინტენსივობით, თუმცა მსუბუქი დეპრესიული მდგომარეობაც კი დისკომფორტის განცდასა და ცხოვრებით კმაყოფილების დაბალ დონესთან ასოცირდება. როგორც ზრდასრულებში, ასევე მოზარდებსა და ბავშვებში, ძირითადად, დეპრესიას ისეთი სიმპტომები ახასიათებს, როგორებიცაა დაქვეითებული გუნება-განწყობა, ინტერესებისა და სიამოვნების მიღების უნარის დაქვეითება, შენელებული მოძრაობა, კვებისა და ძილის სირთულეები, ხშირად აღნიშნავენ კონცენტრაციისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის დაქვეითებას, ასევე, მოტივაციისა და ენერგიის ნაკლებობას. არცთუ ისე იშვიათად, ვლინდება თვითკრიტიკულობა, ირაციონალური აზრები: „არაფე-რი გამომდის“, „არავის ვუყვარვარ“, „არაფრის ღირსი ვარ“ და ა.შ. როგორც უკვე ვთქვით, შეიძლება გაჩნდეს სუიციდური აზრები: „სიცოცხლეს აზრი არ აქვს“, „ნეტავ მოვკვდე“, „ცხოვრება ტანჯვაა“ და სხვა. ასეთ დროს გარშემომყოფებისგან აუცილებელია ფრთხილი და დროული რეაგირება და სპეციალისტის (ფსიქოლოგის, ფსიქიატრის) ჩარევა.

**- რა სიმპტომებს უნდა მიაქციოს მშობელმა ყურადღება?**

- განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო მაშინ, როცა მაგალითად, მოზარდისთვის რაღაც არის განსაკუთრებული, რისი კეთებაც ძალიან მოსწონს, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს, შემდეგ კი იცვლება ყველაფერი და მას ამ აქტივობების შესრულების სურვილი უქრება. რა თქმა უნდა, ეს თუ გაგრძელდება 2-3 კვირაზე მეტ ხანს, მშობლებმა აუცილებლად უნდა მიაქციონ ყურადღება, რადგან ამ მდგომარეობას, როცა ყველაფერზე ხელს იღებენ და ცხოვრება კარგავს ხალისს, შესაძლოა ეწოდოს დეპრესია.

**- რა პრობლემებია მოზარდებში აქტუალური?**

- არის რიგი საკითხები, რომლებიც აქტუალურია მოზარდობის ასაკში. მაგალითად, შესაძლოა მოზარდი, რომელიც პატარა ასაკში მშობელს მიჰყვებოდა, ითვალისწინებდა მის რჩევებს, თუნდაც ელემენტარული კუთხით (კბილების გამოხეხვა რომ ავიღოთ), შემდეგ რადიკალურად იცვლება და საერთოდ უარს ამბობს მითითებების შესრულებაზე, კარგავს პუნქტუალობას, აკურატულობას, ბოლომდე ორიენტირებულია აკეთოს ის, რაც მას სურს, იმის გაუთვალისწინებლად, როგორი შედეგის მომტანი იქნება ეს. ასევე, შესაძლოა მოზარდი გახდეს კონფორმული სამეგობრო წრეში, ბოლომდე იყოს ორიენტირებული მათზე, მათი ახირებების შესრულებაზე და მიუხედავად იმისა, რომ მშობლებთან ჰქონდეს წინააღმდეგობა, სამეგობრო წრეში განსხვავებულ ქცევას ახორციელებდეს.

**- რა შეიძლება იყოს დეპრესიის გამომწვევი მიზეზი?**

- დეპრესია ბავშვებსა და მოზარდებში უამრავი ფაქტორის კომბინაციის შედეგი შეიძლება იყოს. დეპრესია შესაძლოა გამოიწვიოს როგორც გარემომ, ისე ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმა. გენეტიკური ფაქტორებიც მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლოა ოჯახის რომელიმე წევრი იყოს მიდრეკილი დეპრესიისკენ, ასევე, მნიშვნელოვანია სტრესი, ტრავმა, მძიმე დაავადება და ა. შ.

**- რა რეკომენდაციები არსებობს დეპრესიაში მყოფი ბავშვების დასახმარებლად?**

იხ. მე-8 გვ.

# „ლიტერატურა ადამიანის სულის, უმაღლესი აზრის ყვავილებია“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*„...და სურს სულს ჩემსას სხვა სივრცეში გაენგურება“, - ამბობს პოეტი, აფხაზეთიდან ლტოლვილი* ***მარი ჟღენტი*** *და ამ სიტყვებით იმუხტები, მეტადრე, როცა ეცნობი მის ცხოვრებას, მის ღვაწლს, მის ნააზრევსა და ნაფიქრალს, მის ლექსებს... მართლაც, ჭეშმარიტად განათლებული გონება განუზომელი სიკეთეა, ეს ღმერთია ჩვენში, სიყვარულით რომ გვავსებს და გვაძლიერებს. ახლახან თბილისში, მწერალთა სახლში მარი ჟღენტის პოეზიის საღამოზე ეს მთელი სიცხადით წარმოჩნდა. დღეს ის ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

**- მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება გაქვთ, საინტერესო ბიოგრაფია... მოდით, ჩვენს მკითხველს გააცანით საკუთარი პერსონა - ვინ დგას მარი ჟღენტის - ამ სახელის მიღმა...**

- ის მარი ჟღენტი, რომელშიც მე ვიგულისხმები, ერთი ჩვეულებრივი, მოკრძალებული ადამიანია, არაფრით გამორჩეული სხვებისგან. უბრალოდ, თავად ცხოვრება მერგო სირთულეებით, ჭარბი ტკივილებით და ხიფათებით აღსავსე. რასაკვირველია, ყოველი „საშიში მოსახვევი“ დაუყოვნებლივ რეაქციას მოითხოვს, მეც ხშირად იძულებული გახლდით არცთუ სახარბიელო გარემოებებისთვის გამეცა პასუხი. მამა - ის პედაგოგი იყო - არ მახსოვს. ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. დედაც თითქმის ბავშვმა დავკარგე. პირველი „გაქვაკლდევების“ გაკვეთილი მაშინ მივიღე: ცოცხალი ვარ? ესე იგი, წუთისოფელთან ხელშეკრულება დადებული მაქვს, ხელშეკრულება, რომელსაც თავისი ვალდებულებები მოჰყვება! უნდა გავუძლო და ვიარსებო! ღირსეულად! და მე გავუძელი! თავად ვთვლი, რომ ღირსეულად! ოჯახი ნაადრევად შევქმენი, ესეც გარემოებათა კარნახით. არ მგონია, მკითხველის გულისაჩუყება ობლის ცხოვრების მძიმე ეპიზოდებით მართებული იყოს, თქვენი ნებართვით, ბავშვობა-ყმაწვილობის პერიოდზე არაფერს ვიტყვი. პროფესიით ფილოლოგი ვარ, მაგრამ მთელი ცხოვრება ჟურნალისტიკას მივუძღვენი. დავიწყე აფხაზეთის საოლქო გაზეთის „აფხაზეთის ხმის“ კორესპონდენტობიდან. ქართული ეროვნული მოძრაობის აღორძინებისა და გაძლიერების პერიოდში ვიყავი ჰელსინკის კავშირის რეგიონული ორგანიზაციის გაზეთ „ოქროს საწმისის“ (დიდი „ოქროს საწმისის“ ერთგვარი გაგრძელება) მთავარი რედაქტორი. მთელი ჩვენი შესაძლებლობით გვერდით ვედექით ქართულ ეროვნულ მოძრაობას. მიუხედავად კონიუნქტურული ვალდებულებისა, არ შევსულვარ არცერთ პოლიტიკურ პარტიასა თუ კავშირში, გარდა, მოგვიანებით, „ეროვნული თანხმობის კავშირისა“ და კიდევ უფრო გვიან, რუსეთში ცხოვრების პერიოდში, „ადამიანის კონსტიტუციურ და სამოქალაქო უფლებათა დაცვის საერთაშორისო ასოციაციისა“, სადაც მმართველი საბჭოს წევრი გახლდით. ამ ბოლო ხანს გავხდი „საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის“ წევრი, რაც ჩემთვის დიდი პატივია.

**- განვლილ გზას რომ გასცქერით, მოგონება, რომელიც თან გდევთ...**

- მოდით, შესაძლებლობისდაგვარად მოკლედ გეტყვით რამდენიმე მათგანს - მწარესაც და ტკბილსაც. ეს იქნება ერთგვარი გზავნილი მკითხველისთვის. რას ვგულისხმობ, დარწმუნებული ვარ, ყველა მიხვდება. მოგონებათაგან პირველი და უმძაფრესი, რომელიც თან მდევს, დედის თვალებია, როდესაც ის მემშვიდობებოდა მკაცრი ცხოვრების პირისპირ მარტოდ დარჩენილს... და მისი ბოლო სიტყვები: არ შეშინდე, შვილო! და მე არ მეშინია ურთულესი გარემოებების, რადგან ვიცი: არსებობს რაღაც კიდევ უარესი. და რომ ამ „უარესამდე“ არ მივიდე, დაუყოვნებლივ ვეძებ გამოსავალს. განა მართლა ვინმე უშიშარი ვარ? ერთი პატარა, მფრთხალი ქალი! პარადოქსია? არა - კრიზისულ სიტუაციაში შიშისთვის დრო არ მრჩება. მეორე თანმდევი მოგონება: როდესაც ცეცხლმოდებული სოხუმიდან გამოვრბოდით (ეს პირველად - „დაზავებამდე“), ზღვაზე, ნაპირთან კარჭაპი იდგა, მის გვერდით კი გემი (დიდი ღელვის გამო არ შეიძლებოდა, გემი უფრო ახლოს მოსულიყო ნაპირთან), რომელსაც ბათუმში უნდა გადავეყვანეთ. ჯერ ამ „ბუფერად“ გამოყენებულ კარჭაპზე უნდა ავსულიყავით, იქიდან - გემზე. მე მძიმედ ავადმყოფი შვილი და 9 თვის შვილიშვილი უნდა გამეყვანა ომის ცეცხლწაკიდებული მშობლიური მიწიდან. ლამის თოჯინებივით მიგვაპორწიალებდნენ გემბანზე მდგარი ჯანმაგარი ქართველი ჯარისკაცები კარჭაპიდან გემზე. დაბომბვაში, ღელვაში, ტირილსა და წიოკში ვიღაც ტანსრული, შუახნის ქალის გაყინული თვალები მახსოვს, რომელსაც მშველელი ჯარისკაცის ხელს ხელი აუცდა და გემსა და კარჭაპს შორის სიცარიელემ, სიბნელემ და ტალღებმა შთანთქეს. არავის გაუგონია მისი ხმა იმ ვაი-ვიშში... ღმერთო, ძლიერო! არავის უცდია მისი გადარჩენა, რადგან ეს შეუძლებელი იყო. გემი და კარჭაპი ღელვაში სილასა და ქარიბდასავით ასკდებოდნენ ერთმანეთს. მოსასწრები იყო მორიგ დაბომბვამდე ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების, ქალების სამშვიდობოს გაყვანა... დღესაც ვეკითხები თავს: ვინ იყო ის ქალი, რომელიც ომის „ღმერთმა“ ყველას თვალწინ მსხვერპლად შესწირა შავბნელ სტიქიას? ვისი დედა იყო, ვისი შვილი, ვისი მეუღლე? არის კითხვები, რომლებზედაც პასუხი არის, მაგრამ ჩვენი გზა ამ პასუხების ტრაექტორიას ვერასოდეს გადაკვეთს. მესამე მოგონება: ახალგაზრდები ვართ მე და ჩემი მომავალი მეუღლე. ვიცი, ის უსაზღვროდ შეყვარებულია, მაგრამ მასზე ათი წლით უმცროსს ვერაფერს მეუბნება. მან აიღო ჩემი ხელი და პიჯაკსა და ვარდისფერ პერანგს შორის გულზე უსიტყვოდ დაიდო... განა თვალები მიდგას თვალწინ... ან ჩქამი... ან საკუთარი თავი? მხოლოდ იმ ნაცრისფერი პიჯაკის გულახლო მონაკვეთი, ვარდისფერი პერანგი და საოცარი გულისცემა მახსოვს - მესმის. არც არასოდეს დამავიწყდება. ეს ყველაფერი ძალიან ინტიმურია, ორ არსებას შორის დასარჩენი და... ღვთივკურთხეული. რა მაიძულებს ვთქვა? მინდა, ნამდვილი სიყვარულის ფასი იცოდეთ. არაფერია, ამ სამყაროში ამაზე ამაღლებული და ამაღელვებელი უფალთან შეხვედრის გარდა. მე ასე მგონია. მეოთხე მოგონება: ისევ თვალები. ოღონდ, ამჯერად ბედნიერი. დაე, მარადის ბედნიერება იდგეს იმ თვალებში. დილაბნელზე გაღვიძებულმა ჩვილი შვილის საწოლს დავხედე: პატარას გაღვიძებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა და თეთრ ჭერს შესცქეროდა ოდნავ შეშინებულ-გაოცებული. მშობლიური სახის დანახვისთანავე საოცრება აისახა მის კრიალა თვალებში - უსაზღვრო სიხარულის, სიყვარულის, იმედის (ამიყვანეო) ნაპერწკლები. ეს იყო სამყაროსტოლა ბედნიერება ჩემთვის და მისთვის. და მე მადლიერი ვარ უფლის, იმ წამებისთვის და ყველაფრისთვის (კარგის და ცუდის), რამაც ამ ბედნიერების მადლის დაფასება შემაძლებინა...

**- აფხაზეთი ყველა ჩვენგანის ტკივილია, თქვენი - განსაკუთრებით. ყველაფერი თქვენს თვალწინ მოხდა, ახალმა თაობამ უნდა იცოდეს, რა განსაცდელი გაიარეს აფხაზეთიდან ლტოლვილებმა...**

- მე ჩემი შეხედულებები მაქვს! ვინმე რომ მკითხავდეს, თავად სიკვდილის დამჩრდილავი ტკივილია: შეურაცხყოფა, დამცირება, ისტორიული თუ სხვა უსამართლობა... განა, ცოტაა მაგალითები, როცა ადამიანები შელახული ღირსების, აუტანელი უსამართლობის გამო თავს იკლავდნენ? აფხაზეთის ქართველმა მოსახლეობამ საშინელება გადაიტანა. გადაიტანა კი არა... სიკვდილის მიჯნის იქით გავიდა და... იძულებით „ცოცხალი“ დარჩა. მე მინახავს მამა, რომელიც ველურთა მიერ შეურაცხყოფილი 14 წლის ქალიშვილის ნაწამებ სხეულთან ბღაოდა და მიწას მუჭებით გლეჯდა, მინახავს ქალები, რომელთაც შვილი, ქმარი, დედა თვალწინ დაუხვრიტეს და დამარხვაც არ დააცალეს... უარესიც მინახავს. ოღონდ, არ გვინდა გულისდამფლეთი ისტორიების აქ მოტანა. მე მინდა, კაცობრიობამ, ახალგაზრდობამ ენგურს გაღმა თუ გამოღმა იცოდეს: ასე ხდება, როცა ადამიანი (ჯერაც ჰომო საპიენსი - ასე გამოდის), გარემოებათა (წაქეზება, წლობით პოლიტტექნოლოგიური დამუშავება, გონების ათასგვარი ხერხით მოწამვლა და ა. შ.) გამო ისევე შეურაცხადი ხდება, როგორც ქიმიური ნარკოტიკით ჭკუასგადამცდარი ავადმყოფი, საკუთარ დედას, და-ძმას რომ ახრჩობს და ამით წარმოსახვითი ბოღმით სავსე გულს იოხებს... მაგრამ გამოფხიზლება, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც დადგება - ათგზის სიკვდილზე უფრო მწარეა! შედეგი? სულიერი და ფიზიკური პარტახი. მე მინახავს სასოწარკვეთილი ადამიანები, უგზოუკვლონი, დაბნეულნი, განწირულნი, როგორც კოსმოსის ქაოსსაყოლილი, დამწვარი მეტეორისგან დარჩენილი პაწაწა ნამწვნი... აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა მოსახლეობამ განიცადა ყველა სიმწარე, რაც კი არსებობს: ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, მიუსაფრობა, უიმედობა, საკუთარი მეს და ახლობლების დაკარგვა, რწმენის შერყევა ადამიანური ღირებულებების მიმართ... რა ენა ჩამოთვლის ყველაფერს? ვიცით ეს და არ უნდა დაგვავიწყდეს - არც გაღმა, არც გამოღმა... ოღონდ ამას თან საღი ანალიზიც უნდა მოჰყვებოდეს: რა მოხდა? რატომ მოხდა? ვინ მოიგო? საერთოდ, შედეგად რა მივიღეთ? დიახ, რა აღარ მინახავს. ნეტავ, არ მენახა. ამიტომაც გავურბი-ხოლმე ამ თემაზე საუბარს. ყველა ვერ გამიგებს. უსაზომოდ ძნელია ლაპარაკი...

**- თქვენს დიდებულ ოჯახზეც მოგვითხრეთ.**

- შევეცდები მოკლედ, თორემ ძალიან შორს მივდივართ! ჩემი ოჯახი ყოველთვის ცხოვრობდა და სუნთქავდა ქართული ეროვნული ინტერესებით, მეუღლე ზაურ კვარაცხელია, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გახლდათ სოხუმში სსმ ინსტიტუტის კათედრის გამგე, შემდგომ დეკანი, ქართული ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე, პრეზიდენტ გამსახურდიასთან დაახლოებული პირი და აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. აფხაზეთში ხელოვნურად გაჩაღებული ომის ქარცეცხლიან დღეებში, მთელი ჩემი ოჯახი გამოუვალი მდგომარეობის გამო, მოხვდა მოსკოვში, რადგან მეუღლემ მიიღო ინფარქტის ურთულესი ფორმა და დასჭირდა სასწრაფო ოპერაცია გულზე. მაშინ საქართველოში გულის ოპერაციები არ კეთდებოდა. მისი, ასე თუ ისე, გამოჯანმრთელების შემდეგ ვეხმარებოდით დაფანტულ ქართველობას, ორმაგად დევნილ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს (და არა მარტო), დავიწყეთ (მეუღლესთან ერთად) რუსეთში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, მსოფლიოში გაფანტულ ქართულ დიასპორებთან კონტაქტების მოძიება, სახელმწიფოსთან დაკავშირება და შესაძლებლობისდაგვარად მათი სამშობლოსთან დაახლოება. ამ მიმართულებით შეიქმნა მასშტაბური სახელმწიფო პროგრამა (ინახება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში), საერთაშორისო დიასპორული ორგანიზაცია „გეორგია“. მოსკოვში დაფუძნდა ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ალმანახი „ემიგრანტი - XXI“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორიც თქვენი მონა-მორჩილი გახლდათ. ალმანახის მიზნები და სამოქმედო პროგრამა, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია და აღარ განვმეორდები... 2003 წლიდან, ხელისუფლების მოწვევით, ჩემს მეუღლეს ჩაბარდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დიასპორებთან ურთიერთობის განყოფილება. ამ მხრივ განხორციელდა უამრავი სასიკეთო პროექტი, შეიქმნა შესაბამისი სამინისტროც. დღეს ზაურ კვარაცხელია ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ის მთელი თავისი ცხოვრება ემსახურებოდა უფალს და საქართველოს. მყავს ქალ-ვაჟი. ვაჟი, ზურაბი მათემატიკოსია და ეწევა სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ, პედაგოგიურ მოღვაწეობას, ქალიშვილი, ხატია დელსალი, ცხოვრობს მოსკოვში, მუშაობს ტურიზმის სექტორში და ამ საქმის საუკეთესო სპეციალისტია.

**- ლექსი სულის ამოძახილია, სულის სარკე? ასეა? პოეზია გვაღვიძებს ხომ? თქვენი ლექსები არაერთ გამოცემაში იბეჭდება, თარგმნილია ინგლისურად, გარდაქმნილია სიმღერებად... არაერთ ლიტერატურულ ღონისძიებაზე შეუქიათ მათი ხატოვნება... თავად რას ფიქრობთ, შეძელით მათში თქვენი სულიერი სამყაროს რეალიზაცია?**

- თუ გულწრფელია და ნაღდი - დიახ, ლექსი სულის ამოძახილია! მაგრამ სულის ზუსტი სარკეა თუ არა, ეს პოეტის შემოქმედებით პატიოსნებაზეა დამოკიდებული. ნამდვილი (არაყალბი) ავტორი და კარგი მკითხველი ერთმანეთს ყოველთვის უგებენ. ამიტომაა შედარებით ცოტა ნამდვილი ავტორიც და ნამდვილი მკითხველიც. გვაღვიძებს თუ არა პოეზია? აი, აქ მე ჩემებურად ვიტყვი: ლექსი ამ მხრივ წნევის დამარეგულირებელ წამალს ჰგავს - არეგულირებს! მსმენელს მიეძინა? აფხიზლებს. მეტისმეტ შფოთშია, შიშშია, სიმშვიდეს ვერ პოულობს? ამშვიდებს და აწყნარებს, ანუგეშებს, სული კი, ჩემი აღქმით, ის სუბსტანციაა, რომელიც მიუწვდომელს, კოსმოსს შეიცნობს - ცდილობს, ყოველ შემთხვევაში, მაგრამ ეს უწყვეტი, უსასრულო პროცესია. დაველოდები ჩემთვის განკუთვნილი შეცნობის შესაძლებლობის ამოწურვას - მაშინ მეცოდინება, თქმა თუ მოვასწარი, რამდენად ჩავწვდი და შევიცანი საკუთარი სულიერი სამყარო და რამდენი პროცენტით შევძელი მისი რეალიზაცია. ნუ გაგიკვირდებათ და, ხშირად ადამიანებს საკუთარი თავის შეცნობა-ამოცნობა უფრო უჭირთ, ვიდრე სხვების.

**- „ყველას ცრემლი მსურს კედლად მოვისხა“... თქვენი ლექსიდან ამონარიდი ეს სტრიქონი ექოს გამოსცემს... ალბათ, მხოლოდ ჩვენს ტანჯულ ქვეყანაში დაიწერებოდა „ჩემი სურამის ციხე“...**

- „ჩემი სურამის ციხე“ ალბათ უფრო განშტოებაა ჩემი დილის ფსალმუნისა - „თუ საჭიროა, გვედრი, უფალო!“ მეტისმეტად ძნელია, უყურო ირგვლივ ამდენ გაჭირვებას, ცრემლს, სიკვდილს, ადამიანთა უიღბლობას, უსამართლობას... მე, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანს, მწამს სულის უკვდავების (ამას თითქმის ყველა რელიგია აღიარებს, მეტაფიზიკა და თანამედროვე მეცნიერება კი ათასგვარად ხსნის). ჩვენ ყველანი ამ აზრს ვებღაუჭებით. და ვინ იცის, რამდენჯერ გულწრფელად მიფიქრია: ღმერთო, თუ საჭიროა, თუ საკმარისი იქნება, დაე, მე ვიყო ის მსხვერპლი, რომელიც ყველას ნაცვლად გასწირავს მარადიულ უკვდავებას, ყველას ბედნიერების სანაცვლოდ. ძალიან პათეტიკურად, მაღალფარდოვნად ჟღერს, მაგრამ მე ახლაც მზად ვარ სულის უკვდავებაზე უარი ვთქვა და სრულ დავიწყებას მივეცე თუ: არცერთ დედას შვილი არ მოუკვდება, არცერთი შეყვარებული არ დარჩება დაჩაგრული და გულმკვდარი, არცერთი ბავშვი არ დაობლდება, არ იშიმშილებს... არავინ არვის მოკლავს და არ დაამცირებს... ანუ აღარ იქნება ბოროტება და უბედურება დედამიწაზე... რას იტყვით, არ ღირს ერთი ადამიანი ჩაეკიროს ზურაბივით („სურამის ციხის“ პერსონაჟი) დავიწყების ცრემლების კედელს? მე მიღირს - ყველას ბედნიერების სანაცვლოდ უარი ვთქვა უმთავრესზე. აი, ამას ნიშნავს „ყველას დარდი მსურს კედლად მოვისხა!“... ყველას წუხილი და ცრემლი გულს ისედაც „სურამის ციხის“ კედლებივით მიბოჭავს და სადაცაა ყელამდეც მოვა... რამდენად მტკივნეულია ეს ჩემთვის, ვიცით მხოლოდ მე და ჩემმა უფალმა.

**- „მე, ინანა, ურუქი და ტესლა“ - ამ ლექსის შინაარსიც და იდეაც საინტერესოა... განცდა, რასაც ლექსი იწვევს ძლიერია. რამ შთაგაგონათ - მუზის წყალობაა თუ...**

იხ. მე-7 გვ.



*„ნუ მიწყენს ახალგაზრდობა, მაგრამ ხელს სხვისი სუფრისკენ ღატაკი და დამშეული იშვერს. ჩვენ რა გვჭირს საამისო?! უძველესი და უმდიდრესი ენა გვაქვს! ამასთან, ვაღიარებ: ეს ბავშვური გატაცება უცხოურით - ხან რუსული „ოლა წოწათი“ და ხან ინგლისური „ფეშენით“ დიდ პროვინციალიზმად მიმაჩნია... აქვე მინდა ფანატ „გრამატიკოსებს“ (თქვენი ნებართვით, ამ სიტყვას ვიხმარ) ვუთხრა: როგორც აკვანში ზედმეტად არტახმოჭერილ ყრმას უმახინჯდება აღნაგობა, როგორც ხელოვნურად და მკაცრად ზრდაშენელებულ მცენარისგან ზრდიან ტოტებდაღრეკილ „ბანსაის“ , ასევე, ზედმეტად შეზღუდული ენისგან მივიღებთ „ენა-ბანსაის“... უდღეურს ახალი სინამდვილისთვის...*

# როცა იცი, ვისი გორისა ხარ...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*მერი დიასამიძე ისტორიულ სოფელ ზენდიდიდანაა. იგი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. მანდატურადაც იმუშავა. ახლა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლში ბეიკოზ-ბათუმის ქართული ასოციაციის ბაზაზე არსებულ დედაენის საკვირაო სკოლაში 35 მსმენელს ქართულ ენას ასწავლის. მერი „აჭარის“ სტუმარია.*

**- ქალბატონო მერი,ზენდიდელი და გულებელი დიასამიძეების როლი აჭარის ისტორიაში გამორჩეულია. აგრძელებთ წინაპრების საქმეებს?**

- საქართველოს ისტორიაში ჩემი წინაპრების ღვაწლი კარგად ვიცი, წავიკითხე უამრავი ისტორიული დოკუმენტი ამის თაობაზე. პროფესორ ბიჭიკო დიასამიძისგან მოვისმინე საინტერესო ამბები. გვარში სამი პატრიარქი გვყავდა, ეს ცოტა ნამდვილად არაა. დიასამიძეები ყოველთვის იდგნენ სამშობლოს სადარაჯოზე, უსამართლობას ებრძოდნენ. მევლუდ დიასამიძის ცხოვრება ამის ნათელი მაგალითია. როცა იცი, ვისი გორისა ხარ, ეს დიდი პასუხისმგებლობაა, ყოველთვის ცდილობ, ისე იცხოვრო, არაფერი შეგეშალოს. უფლის წყალობით ვახერხებ, თუმცა უნებლიე შეცდომებსაც ვუშვებთ მოკვდავები და კარგი საქმით უნდა გამოვასწოროთ. ძალიან მინდა, ჩემი გვარის კარგი შვილის სახელით დავტოვო ეს წუთისოფელი.

**- გულების კარიბჭესთან ხარაჩოებს იხსნის წმინდა ევდემოზ დიასამიძის სახელობის ტაძარი...**

- გულების წმინდა ევდემოზის (დიასამიძე) სახელობის მშენებარე ტაძარი, რომლის სამშენებლო შტაბის წევრიც ვარ, ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. წლების წინ დაწყებული მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ჩემი გვარის სასახელო ადამიანებთან ერთად და მეგობრების შემოწირული თანხებით, მალე კიდევ ერთი ღვთის სახლი შეემატება ჩვენს სამშობლოს, თანაც ისეთ ადგილას, სადაც ყველა ადამიანს შეეძლება შევლა, სანთლის დანთება და მოლოცვა. ჩემი შემოსავლიდან გარკვეულ თანხას ვრიცხავ ტაძრის მშენებლობის ფონდში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა იმ ადამიანს, ვინც მიიღო მონაწილეობა მშენებლობაში, დიდი მადლობა გადავუხადო.

**- ოჯახს ადრეულ ასაკში მოეკიდეთ. 33 წლისამ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეთ. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად იმუშავეთ. რა იყო მიზეზი, პედაგოგობას მანდატურობა რომ ამჯობინეთ?**

- ადრე შევქმენი ოჯახი, მამას გულის პრობლემები შეექმნა და ძალიან უნდოდა, ერთი შვილის ბედნიერებას მაინც მოსწრებოდა, ჩემი ოცნება - ჩამებარებინა უნივერსიტეტში, გვერდზე გადავდე და ოჯახს მოვეკიდე. მუდამ ვფიქრობდი, რომ მამის გახარებისთვის უფალი აუცილებლად დამეხმარებოდა და ოცნებასაც ავიხდენდი. ასე აღმოვჩნდი უკვე ორი ვაჟის დედა უნივერსიტეტში. ხუთი წლის შემდეგ მომენიჭა მაგისტრის დიპლომი ფილოლოგის, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაციით. 4 წელი ვიმუშავე ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მრავალდარგობრივ კოლეჯში პედაგოგად, ასევე, კურატორად. 2006 წლიდან სასამართლო სისტემაში მანდატურის სამსახური ჩამოყალიბდა. პედაგოგიური გამოცდილება ხელს მიწყობდა, კონკურსში მიმეღო მონაწილეობა. პოლიციის ფორმა ყოველთვის მიზიდავდა და შანსი მეძლეოდა, უნიფორმა მომერგო. ასე ჩავანაცვლე პედაგოგობა მანდატურობით. 8 წელი ვემსახურე საქართველოს სასამართლო სისტემასა და საზოგადოებას. დასავლეთ საქართველოში პირველი ქალი მანდატური აღმოვჩნდი. მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ანტიკორუფციული პალატის თავმჯდომარეს, ბატონ პაატა შავაძეს, რომელმაც პატიოსნებისა და კანონმორჩილების სიგელით დამაჯილდოვა, ასევე, სასამართლოს თავმჯდომარეებს - მადლობის სიგელებისთვის.

**- სრულიად შემთხვევით აღმოჩნდით სტამბოლის პრესტიჟულ უბანში...**

- 2013 წელს წავედი თურქეთის რესპუბლიკაში. მოვიკითხე და მოვძებნე იქაური ქართველები. გავიცანი ისინი და მათთან ურთიერთობები ჩამოვაყალიბე, ვესწრებოდი ყველა ღონისძიებას, რასაც ისინი აწყობდნენ. დღეისთვის თურქეთში არსებულ თითქმის ყველა სათვისტომოს ვიცნობ, ვთანამშრომლობ და ვსტუმრობ კიდეც ქართული საჩუქრებით ხელდამშვენებული.

**- რაა მთავარი, რომ უცხოეთში მყოფმა ქართველმა ეროვნული სულისკვეთება შეინარჩუნოს, სხვას გვერდით დაუდგეს?**



- საამისოდ ყველა ნაბიჯი უნდა გათვალო. პატივი უნდა სცე იმ ქვეყნის წესებს, სადაც იმყოფები. თუკი შეგეშალა, ვეღარ დაიბრუნებ პატივისცემას და არც შენ გვერდით დგომას მიიღებენ, ეს ისე გამოჩნდება, როგორც თეთრ ქაღალდზე - შავი ლაქა, რომლის მოშორება უკვალოდ შეუძლებელია.

**- რამდენიმე წელია, დედაენის საკვირაო კურსებს უძღვებით. როგორია მსმენელების დამოკიდებულება?**

- უკვე ხუთი წელია, ბეიკოზის რაიონის დედაენის საკვირაო კურსების მასწავლებელი ვარ. ქართული წერა-კითხვის შესწავლის სურვილი დიდია და ეს ძალიან მახარებს. სტამბოლში რამდენიმე ადგილას არის კურსები გახსნილი. იხსნება სხვა რაიონებსა და ქალაქებშიც. სულ ახლახანს გაიხსნა ორხანგაზში, სადაც 60 მოსწავლეა. ეს უკვე დიდი წარმატებაა. ძალიან მინდა, დღემდე მოტანილი ენა არ დაიკარგოს და ყველა რეგიონში გაიხსნას კურსები. მთავარი ამ საქმეში ახალგაზრდობის ჩართულობაა, რაც უნდა შევძლოთ.

**- ყველაფერს გასამრჯელოს გარეშე აკეთებთ. ქართული დიასპორა, ასოციაციები მუშაობას როგორ გიფასებენ?**

- ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გასამრჯელოზე უარი ვთქვი, ოღონდ იქართველონ, რა კარგია, რომ „არ გადაგვქართულდა“ (პოეტ მზია სალვარიძის სიტყვებს დავისესხებ) დღემდე და მე რა შემაზარებს, უსასყიდლოდ მოვემსახურო მათ. თუმცა რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა, არ ვიცი. ერთხელ ვთქვი და აზრს აღარ შევიცვლი, ასეთი ვარ. რაც შეეხება დაფასებას, მხოლოდ ერთს ვიტყვი: იქ მასწავლებელს ისე აფასებენ, როგორც პრეზიდენტს. სადმე რომ შედიხარ და დარბაზი ღიმილით ფეხზე დგება, ეს საკმარისია, იყო ბედნიერი.

**- იმ ქველმოქმედებაზეც გვითხარით, რასაც მშობლიურ ქედასა და ქვეყნის სხვა კუთხეებში ეწევით...**

- როცა სიკეთეს უანგაროდ აკეთებ, უფალი მუდამ გვერდით გიდგას. ვცდილობ, გავახარო ისინი, ვისაც ეს სჭირდება ან წაადგება. გაკეთებულ სიკეთეზე არ ვისაუბრებ. ვეცდები, საზღვრის ორივე მხარეს თანაბრად გავანაწილო სითბო, სიყვარული და მხარდაჭერა. 2021 წლიდან „საპატიო ქედელის“ წოდება მომენიჭა, მადლობა ჩემი რაიონის ყველა მკვიდრს. ეს მეტს მავალდებულებს და მეც მუდამ ძიებაში ვარ, რითი დავუდგე რაიონს გვერდით.

**- ოჯახს - მეუღლეს, შვილებს დახმარების ხელს უწვდით. ორ ფრონტზე გიწევთ მუშაობა. ასე საქმიანობას რა დრომდე აპირებთ?**

- ოჯახი ყველაზე წმინდაა ჩემთვის. ვიცავ ტრადიციებს. მინდა შვილიშვილები, შვილებივით სიკეთით სავსე ადამიანებად გაიზარდონ. მადლობა უფალს, დღემდე ასე მოვედით. ალბათ პენსიაში გასვლამდე ვიმუშავებ, რომ გამოვადგე ოჯახსა და ქვეყანას. შემდეგ კი ბედნიერი სიბერით დავტკბები.

**- ქართველი ყველგან ქართველობს. როგორია სტამბოლელი ქართველების დამოკიდებულება ერისა და ქვეყნის ტრადიციებისადმი?**

- სტამბოლის (და არამარტო სტამბოლის) ქართველობა ისე ქართველობს, ნეტავი ასე ვქართველობდეთ აქ. არსად იკრძალება ქართული კულტურული საქმიანობა. ეს დიდი მიღწევაა. ყოველწლიურად აღნიშნავენ საქართველოს დამოუკიდებლობის, დედაენისა თუ სხვა მნიშვნელოვან დღეებს. იქ ყველგან ქართული დროშით დავდივარ და ამის გამო პრობლემა არსად შემქმნია. გახსნილია ქართული კაფეები და ქართულ სამზარეულოს პოპულარიზაცია ეწევა - უყვართ ქართული კერძები. ამ ბოლო დროს მომრავლდა ტურები საქართველოში, ამას ხელი შეუწყო ქართული ლიტერატურის თარგმანებმა, რომელშიც აღწერილია ჩვენი კულტურა და ცხოვრება. მადლიერი ვარ იმ 9 წლის და მალე წიგნსაც იხილავთ „სტამბოლის სტუმრის მოგონებები“, სადაც საინტერესო ამბებთან ერთად იქნება ფოტომასალა ჩემს საქმიანობაზე თურქეთის რესპუბლიკაში.

**- რა დროს ატარებთ საქართველოში?**

- ყოველ სამ თვეში ერთხელ ერთი კვირით მაინც ჩამოვდივარ, პანდემიის პერიოდს თუ გამოვაკლებთ. ახლა ზაფხულის გატარება აქ გადავწყვიტე, ერთი კვირა ძალიან ცოტაა. მინდა მოვისიყვარულო სამშობლო, ოჯახი.

**- ყველაზე მეტად ვინ და რა გენატრებათ?**

- შვილიშვილები მენატრება ყველაზე მეტად. როცა მესმოდა, მათი სიყვარული შვილების სიყვარულს გადაფარავსო, არ ვიჯერებდი. მართალი ყოფილა. რაც შეეხება იმას, თუ რა მენატრება: ფხალეულის ასორტი და ცხელი მჭადი. როცა ჩამოვდივარ, ყველგან ასორტს ვუკვეთავ ხოლმე.

**- ამას წინათ აჭარის მწერალთა სახლში გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოხვედით.**

- იმ ღონისძიებაზე ბატონმა დავით თედორაძემ ისე შეაფასა ჩემი საქმიანობა, რომ ირგვლივ მიმოვიხედე, ვისზე ლაპარაკობსმეთქი. ბედნიერებაა ამის მოსმენა, მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ ისევ გავიმეორებ - ჩემი საქმიანობა მოკრძალებულია იმ ადამიანების საქმიანობასთან შედარებით, რომლებიც წლებია ემსახურებიან ქართული კულტურის აღორძინებას უცხოეთში. ზოგჯერ მერიდება კიდეც, როცა ჩემზე ვინმე საუბრობს. დიდი ემოციებით გამოვედი ღონისძიებიდან. ერთი კია - საზოგადოება ჩემთვის ყველაფერია. მის გარეშე ვერ ვიარსებებ და ყველა ჯილდოზე წინ ვაყენებ საზოგადოების სიყვარულს.

**- მამულის, ენის, მრწამსის სიყვარულს და ერთგულებას როგორ ახერხებთ უცხოეთში?**

- მუდამ ვცდილობ, ჩემი ლამაზი საქმეებით ვუერთგულო მათ. ძალიან რთულია მართლაც, მაგრამ თუკი სიყვარულით და უფლის სახელით წამოიწყებ საქმეს, ყველაფერი გამოგივა. იქ, მხოლოდ საკუთარ თავს არ ეკუთვნი, იმ ქვეყნის სახე ხარ, საიდანაც ჩამოხვედი. ასე რომ, ყველა ნაბიჯი უნდა გათვალო, რათა არ შეარცხვინო სამშობლო, გვარი და ოჯახი.

**- სტამბოლში პრესტიჟული ოჯახის წევრად ითვლებით. რაა მთავარი ოჯახის სიმტკიცისთვის?**

- რადგანაც გასამრჯელოს არსად ვიღებ, სადმე უნდა მემუშავა, რომ მეცხოვრა უცხოეთში. ამიტომ ერთი ძალიან ცნობილი და წარმატებული ოჯახის წევრად ვითვლები წლებია. ოჯახში ყველა იურისტია და მივაღწიე იმასაც, რომ ჩემი დაფასებით ისინი ჩემს სამშობლოსაც აფასებენ, ეს კი ცოტა არაა.

**- წინ დიდი გზა გაქვთ. ისევ უცხოეთში გააგრძელებთ მუშაობას თუ...**

- საკმაოდ რთულია პასუხის გაცემა. რა თქმა უნდა, მინდა დავბრუნდე სამშობლოში. აქაც შევძლებ რაიმე სასარგებლოს გაკეთებას, მაგრამ დედაენის კურსების მიტოვება მიჭირს, ვფიქრობ, პენსიამდე დარჩენილი დრო კვლავ ამ საქმეს მოვახმარო.

**- მიზანი ყოველთვის ამართლებს?**

- კი, თუ სწორად დაგეგმავ.

**- უცხოეთში რა ბარიერების დაძლევა მოგიხდათ?**

- ცხოვრებას ყოველთვის ახლავს რაღაც პრობლემები. ვერ ვეგუები უსამართლობას, არასწორ საქმეს, ტყუილებს. ალბათ, ეს გენეტიკურად მაქვს, ზოგჯერ ამის გამო მიწევს ახსნა-განმარტება. სულ ესაა, ამ ცხრა წლის განმავლობაში სერიოზული რამ არ შემმთხვევია, უფალს მადლობა.

**- ვის თვლით იდეალურ ქალად?**

- ალბათ დედას. მე მას ვგავარ. ის საზოგადოების სამსახურში იყო ყოველთვის. ყველას გვერდით ედგა. ბევრის ატანა შეეძლო. ერთნაირად დაიღლებოდა ბავშვისთვისაც და დიდისთვისაც.

**- გვარში ვის თანადგომას გაიხსენებთ?**

- პროფესორ ბიჭიკო დიასამიძის, რუსუდან დიასამიძის, რეზო დიასამიძის, მიხეილ (მიშა) დიასამიძის, ნერიმან დიასამიძის... დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის გამგეობის ყველა წევრის. მე ისინი მაძლიერებდნენ, მეიმედებოდნენ და მახსენებდნენ, რომ დიასამიძის ქალი ვიყავი, ეს კი ბევრს მავალდებულებდა.

**- ეკლესიაში სანთლებს ვისთვის ანთებთ?**

- ეკლესიაში პირველ სანთელს ჩვენს საქართველოს ვუნთებ, მერე - გვარს, ოჯახს და აუცილებლად სტამბოლის იმ ლამაზ ოჯახს, სადაც 9 წელია დაცულად ვცხოვრობ და რომელიც ჩემს სამშობლოს ბევრჯერ დაუდგა გვერდით.

**- მადლობა საინტერესო საუბრისთვის.**

- მადლობა გაზეთ „აჭარას“, რომ დაინტერესდით ჩემი საქმიანობით.

> ***„ჩემი საქმიანობა მოკრძალებულია იმ ადამიანების საქმიანობასთან შედარებით, რომლებიც წლებია ემსახურებიან ქართული კულტურის აღორძინებას უცხოეთში. ზოგჯერ მერიდება კიდეც, როცა ჩემზე ვინმე საუბრობს. დიდი ემოციებით გამოვედი ღონისძიებიდან. ერთი კია - საზოგადოება ჩემთვის ყველაფერია. მის გარეშე ვერ ვიარსებებ და ყველა ჯილდოზე წინ ვაყენებ საზოგადოების სიყვარულს***

# საქართველოში პირველი ივლისიდან ახალი სისტემის შემოღება განიხილება, რომელიც უკრაინელი ლტოლვილების საჭიროებებს უზრუნველყოფს



***საქართველოში უკრაინის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ანდრეი კასიანოვმა ბრიფინგზე საქართველოს მთავრობას გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა***

„ჩვენი მონაცემებით, 24 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება უკრაინის 20 385 მოქალაქე, მათ შორის 5 671 - არასრულწლოვანი. ამ წლის 1-ელი მაისიდან 24 ივნისამდე საქართველოში უკრაინის საელჩოს საკონსულო განყოფილებას მიმართა უკრაინის 2 750 მოქალაქემ. საქართველოს მთავრობასთან, საქართველოში ლტოლვილთა საქმეების გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოსთან კოორდინაციით, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, ამ პირების ყველანაირი საჭიროება რომ დავაკმაყოფილოთ. ამჟამად გაურკვეველი რჩება მხოლოდ ერთი საკითხი - უკრაინელი ლტოლვილების განთავსება. ჩვენ მადლობას ვუხდით საქართველოს მთავრობას, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება, განაგრძოს უკრაინის მოქალაქეებისთვის დახმარების მიწოდება და ამისთვის უნდა გამოყოს შემდეგი 7 მილიონი დოლარი, მაგრამ ჩვენთვის მაინც არ არის ცნობილი, როგორ იმოქმედებს დახმარების გაწევის მექანიზმები და რომელი საკონტაქტო პუნქტები იქნება განსაზღვრული სამთავრობო სტრუქტურებში. საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის ხელმძღვანელთან შეხვედრის დროს, საელჩომ მიიღო ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ განიხილება პირველი ივლისიდან ახალი სისტემის შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს ლტოლვილების საჭიროებებს. იმედი გვაქვს, შესაბამისი გადაწყვეტილება დროულად იქნება მიღებული და მთავარია, რომ უკრაინის მოქალაქეებს დროულად აცნობებენ ამის შესახებ. იმედი მაქვს, საქართველოში არავინ დარჩება მხარდაჭერისა და თავშესაფრის გარეშე“, - განაცხადა კასიანოვმა.

**ამირან გურიელიძე**

# „ლიტერატურა ადამიანის სულის, უმაღლესი აზრის ყვავილებია“

მე-5 გვერდიდან

- ნიკოლა ტესლა - „შეშლილი სერბი“ ვინ არ იცის? მისი უცნაური იდეები და მუდმივი კონფლიქტები ედისონთან, ელექტროენერგიის უსადენოდ გადაცემაზე მუშაობა და აზრების გადაცემაზე ფიქრი, პარალელური სამყაროების არსებობის ვარაუდი და თვალის ციმციმების გაზომვაც კი... ცოტა რამ, როგორც უმრავლესობამ, მეც ვიცოდი, მაგრამ თქვენ მიერ ნახსენები ლექსი შვა ჩემთვის, მეგობრისგან, მილდა ჩაგანავასგან ტესლას შესახებ ვრცელი ნაშრომის გამოგზავნამ, რომელშიც ბევრი ახალი, აღმაფრთოვანებელი გავიგე ტესლას შესახებ... აქედან შორი აღარ დარჩა პარალელური სამყაროების არსებობის ჰიპოთეზამდე, რომლის მიხედვით, სადღაც, რომელიღაც უსასრულო განმეორებაში ყოველი ჩვენ მიერ თუ სხვის მიერ განვლილი წამი არსებობს, ისევე როგორც გარდასული დრონი და ეპოქები... გავყევი... გავყევი ტესლას იდეებს და „ჩავედი“ ურამდე... აი, საბაბი და სარჩული ამ ლექსისა. აზრი, იდეა დიდებულია და ამაზე სერიოზულად მუშაობენ მეცნიერები: „სრულიად მოულოდნელად ჩვენ გავაანალიზეთ, რომ სამყარო სიმფონიაა, ფიზიკის კანონები კი - სუპერსიმების ჰარმონია...“ - ამერიკელი ფიზიკოსი მიჩიო კაკუ. მიჩიოსთვის ფიზიკურად შეგნებულად, ჩემთვის კი სულიერად... ასეა.

**- მრავალი კეთილმოსურნე გყავთ, ახლობლები, მეგობრები... რა არის ყველაზე არსებითი, რაც ამ ურთიერთობებმა თქვენში გააღვიძა, რით გაგამდიდრათ?**

- პასუხი შეკითხვაშივეა: კეთილმოსურნეობით და ყველას მიმართ - სიყვარულით! ამაზე საამო და სამყაროსთან, სიმშვიდესთან გამაერთიანებელი გრძნობა არ არსებობს. ესაა მდგომარეობა, როცა გული დიდდება... არა გასახეთქად და რიტმიდან ამოსავარდნად, არამედ, ყველას სულში ჩასატევად და ყველასთან ჰარმონიულად შესაბამისებლად.

**- ენა და მწერალი, ენა და საზოგადოება...როგორ მეტყველებს დღეს ჩვენი ახალგაზრდობა, საით მივყავართ ენისადმი ასეთ დამოკიდებულებას?**

- ენა ცოცხალი, მაშასადამე, განვითარებადი ორგანიზმია. ისიც იცვლება დროის მიხედვით, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პროცესია. მწერლის როლი აქ განუზომლად დიდია! ენის მაქსიმალურად გაფრთხილებასთან ერთად, მას ენის სწორად (გემოვნებიანად და მართებულად) ფორმირებაზე ზრუნვა ევალება. რას ვგულისხმობ? ენაში გვინდა, არ გვინდა, მაინც იჭრება ნეოლოგიზმები. მწერალმა ეს პროცესი გარკვეულწილად, ჩარჩოში უნდა მოაქციოს დედაენის სასარგებლოდ. მე დიდი მომხრე ვარ სინერგიისა - მეგრულში, სვანურში, ლაზურში (მაინც განსხვავდება მეგრულისგან) გვაქვს ულამაზესი და უფრო დახვეწილი სიტყვები, ვიდრე დედა-ქართულში მათი შესატყვისები. რატომ არ უნდა შემოვიტანოთ ისინი ჩვენს ყოველდღიურობაში და გავამდიდროთ ჩვენი ენა „ლაითის“, „შიკის“, „ჰაბის“, „სელებრითის“ და მათი მსგავსი სრულიად უცხო სიტყვების ნაცვლად? ნუ მიწყენს ახალგაზრდობა, მაგრამ ხელს სხვისი სუფრისკენ ღატაკი და დამშეული იშვერს. ჩვენ რა გვჭირს საამისო?! უძველესი და უმდიდრესი ენა გვაქვს! ამასთან, ვაღიარებ: ეს ბავშვური გატაცება უცხოურით - ხან რუსული „ოლა წოწათი“ და ხან ინგლისური „ფეშენით“ დიდ პროვინციალიზმად მიმაჩნია... აქვე მინდა ფანატ „გრამატიკოსებს“ (თქვენი ნებართვით, ამ სიტყვას ვიხმარ) ვუთხრა: როგორც აკვანში ზედმეტად არტახმოჭერილ ყრმას უმახინჯდება აღნაგობა, როგორც ხელოვნურად და მკაცრად ზრდაშენელებული მცენარისგან ზრდიან ტოტებდაღრეკილ „ბანსაის“, ასევე ზედმეტად შეზღუდული ენისგან მივიღებთ „ენა-ბანსაის“... უდღეურს ახალი სინამდვილისთვის... აქ ზომიერების დაცვა ყველაზე მიღებული და გამართლებული მგონია: ენათმეცნიერებს, მწერლებს, საზოგადოებას ევალება როგორც ენის სიწმინდის დაცვა, ასევე, მაღალი გემოვნების გამოჩენა, მის განვითარებაზე და გამდიდრებაზე ზრუნვა... რაც არ ვითარდება - ის კვდება! ასე რომ არ იყოს, დიდი ილიას ეპოქაში ცურტაველის ეპოქის ენით ისაუბრებდნენ და ჩვენ - მე-19 საუკუნის ქართულით ვილაპარაკებდით... ახალგაზრდები! ახალგაზრდები თავიანთ ასაკობრივ სახადს იხდიან ენის თვალსაზრისითაც. ჩემი აზრით, ესაა განსხვავებულობისაკენ, სათქმელის ნახევრად გასაიდუმლოებულობისაკენ, მოზრდილთაგან ამ ხერხითაც განცალკევებისაკენ სწრაფვის უმწიფარი კომპლექსი, რომელიც სწორი მართვის და ზომიერი დათმობის, გემოვნებიანი ლიტერატურით მათი უზრუნველყოფის ფონზე „საყმაწვილო გამონაყართან“ ერთად გაივლის...

**- რთულ დროში მოგვიწია ცხოვრება, ციფრული ეპოქა, ხელოვნური ინტელექტი, ტექნოლოგიური ნოვაციები გადაწყობას ითხოვს, ამ ფონზე როგორ ხედავთ ლიტერატურის მომავალს?**

- ოო, ყველაზე დიდი გამოგონება (ეპოქის განვითარების დონის გათვალისწინებით) და ტექნოლოგიური ნოვაცია, მგონია, ბორბლის გამოგონება იყო! ან, წარმოგიდგენიათ ხალხის გაოცება, როდესაც მე-18 საუკუნეში (ბენცამდე დიდი ხნით ადრე) პარიზის ქუჩებში პირველმა სამბორბლიანმა ავტომობილმა გაიარა? ან გახსენდებათ პირველი საფრენი აპარატები და ბიპლანები? როგორი აყიოტაჟით დასდევდა მათ ხალხი? ნამდვილი სახალხო სეირი იყო! ადამიანს აქვს უნარი, პირველი გაოცების შემდეგ, ალღო აუღოს ყველაფერს, შეეგუოს და შეეწყოს სიახლეებს, დაუმეგობრდეს ხელოვნურ ინტელექტსაც. რა გასაკვირია?! როგორც ცნობილია, მას თავისი გონებრივი განვითარების დღევანდელ ეტაპზე შესაძლებლობების 97 პროცენტი თადარიგში აქვს „გადანახული“. ყველაზე მარტივ ციფრულ ტექნოლოგიებს დღევანდელი პატარები მათთან ერთად დაბადებულებივით არიან შეგუებული და თქვენ წარმოიდგინეთ, მეზობლის ბებერი ფისოც კი ცდილობს თათის ცაცუნით აიფონში თავისი საყვარელი კადრი გამოაჩინოს (სულაც არ ვხუმრობ). რაც შეეხება ამ ფონზე მთავარს - ლიტერატურას! ყველა ჩამოთვლილ, ოდინდელ ტექნოლოგიურ გამოგონებათა პარალელურად, უფლის ნებით, არსებობდა ნაკადულის დამამშვიდებელი ჩხრიალი, მზის სხივი, რომელიც თავისთავად ააქტიურებს სეროტონინს - სიხარულის, იმედის ჰორმონს, არსებობდნენ მყინვარწვერები - მოკრძალების და აღფრთოვანების უკვდავი სიმბოლონი, არსებობდნენ ნაირფერი ყვავილები - სიხარულის და სასოების მომტანნი! ლიტერატურა (ჭეშმარიტი) ადამიანის სულის, უმაღლესი აზრის ყვავილებია - ყოველთვის იყვავილებს!

**- თვისება, რომელიც ყველაზე ფასეულია ადამიანში...**

- პატიოსნება და სამართლიანობა!

**- რა გინდათ გასძახოთ სამყაროს...**

- გამოიღვიძეთ! მშვიდობა თქვენდა!

**- სწორედაც, გემოვნებაზე დავობენ... მდარე ლიტერატურამ, შოუებმა, სერიალებმა დაადაბლა გემოვნება... გამოსავალი?**

- ზოგჯერ მგონია, გარკვეული სამსახურები შეგნებულად ეწევიან საზოგადოების შემეცნების, გემოვნების, საღი ინტერესების დამახინჯებას! და თუ ეს ასე არ არის, მაშინ სახელმწიფომ (სახელმწიფოში ვგულისხმობ სტრუქტურას, რომელიც ხსენებულ სფეროს კურირებს) ალტერნატიული არჩევანი უნდა შესთავაზოს მკითხველს, მაყურებელს. შეისყიდოს და მიმზიდველ გარემოში მოაწყოს მაღალი გემოვნების, ახალი თუ კლასიკური ფილმების ჩვენება, წიგნების განხილვა, პერსპექტივებზე მსჯელობა... ნორმალურ საზოგადოებას, ფეისბუქში „ლიტჩანახის“ დაგემოვნებას, წესით, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, მუსიკაზე კამერულ, სალონურ გარემოში საუბრები, შეხვედრები უნდა ერჩივნოს. მერწმუნეთ, ამის პრეცედენტები შექმნილია და კარგადაც მუშაობს. მსმენელის, მკითხველის ნაწილი არჩევანს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთებს, ხოლო საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მას მიბაძავს. ხედავთ, ჩვენი ქართველური კუდაბზიკობა შესაძლოა, ზოგჯერ სასარგებლოც კი გამოდგეს. ახალგაზრდობას თავისი ბუნებრივი ფიზიკური აქტივობის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ბუნებაში გასვლის, საკუთარი ქვეყნის, ისტორიის შესწავლის სურვილი. ეს ვალი მათ პედაგოგებს აწევთ კისერზე. თუ ისინიც შინ „დროულად“ გაქცევას და თავადაც გაურკვეველი სერიალების ყურებას არ ირჩევენ, ჩვენზე უკეთ იციან (უნდა იცოდნენ) რა სულისკვეთება აღზარდონ, რა გააკეთონ სტუდენტი ახალგაზრდობის ინტერესების წარსამართავად. ცალკე თემაა ფეისსივრცის განურჩევლობა. მართალია, აქ ყველა თავისი თავის რეალიზებას ცდილობს (აღარ ვთქვი, თავის გულის ჭიას ახარებს-მეთქი), მაგრამ რაღაც ბარიერი ღირებულს, ჭკვიანურს, სრულ სისულელესა და უგემოვნებას შორის უნდა არსებობდეს. არ მინდა ვახსენო ცენზურა, მაგრამ ასეთი ბარიერის არსებობა გემოვნებიანი და პასუხისმგებლიანი მოდერატორების სახით, სრულიად ზღვარსგასულ ავტორებს (ვიზას რომ ვერ მიიღებენ), იმას მაინც აიძულებთ, იფიქრონ: რაღაც კარგად ვერ დამიწერია და ვეცდები გავაუმჯობესოო. მოწოლილი ზღვა მასალის ხარისხი ოდნავ მაინც ხომ გაუმჯობესდება?! ესეც საქმეა!

**- კაცობრიობას ორი დიდი წიგნი აქვს: ბიბლია და ბუნება. როგორ ფიქრობთ, ვისწავლეთ მათი კითხვა?**

- ორი დიდი წიგნი! ანუ სულიერი და მატერიალური! თეოლოგები გვეტყვიან, რომ მეორე პირველისგან გამომდინარეობს, მატერიალისტები კი პირიქით - მეორეს ჩათვლიან პირველის წყაროდ! ეს იმას ნიშნავს, რომ, რაც ვისწავლეთ, ჯერჯერობით, კითხვა კი არა, ანბანის შეუგნებლად ამომარცვლაა. ერთიცა და მეორეც - ბიბლიაც და ბუნებაც ახალ-ახალ სიურპრიზებს და აღმოჩენებს გვთავაზობს, აღმოჩენებს, რომელთა ახსნა არც ფიზიკურ კანონებს ემორჩილება და არც რელიგიურს. თავად ვერ დავიკვეხნი, რომ მათი კითხვა ვისწავლე! ჩვენ - კაცობრიობა, ჩემი სუბიექტური აზრით, იმ სკოლამდელ ბავშვებს ვგავართ, უფროსი დედმამიშვილის წიგნი რომ უჭირავთ ხელში და წაკითხვის ნაცვლად ლამაზლამაზ ნახატებს ათვალიერებენ... ანუ იგებენ იმდენს, რასაც მათი გონება სწვდება... ამ ორი, დიდი წიგნის შეგნებულად წაკითხვა და ბოლომდე გაშიფვრა კაცობრიობის განვითარების სულ სხვა ეტაპზე - მომავალი საუკუნეების მიღმა მესახება!

**- დაბოლოს, ამ ინტერვიუთი აჭარას, ბათუმს ესაუბრებით, რას გვეტყვით აქაურებს?**

- აჭარა, ბათუმი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი კარიბჭე და ციტადელია! ქართველობის, ქართული კულტურის და სახელმწიფოებრიობის მკერდით დამცველი და შემნახველი. ათასგზის კურთხეულია ეს მხარე: ქრისტეს მე-12 მოციქული მატათა ხომ, საეკლესიო ჩანაწერთა მიხედვით, გონიოშია დაკრძალული და ანდრია პირველწოდებულიც აჭარის პირველმაზიარებელი გახლდათ! ბათუმი საქართველოს თეთრი მარგალიტია და თითოეული ჩვენგანისგან მარადსანატრელი თავისი ტკბილმოუბარი, კეთილმოსურნე, ალალი ადამიანებით და ლაჟვარდისფერი ზღვით! ღმერთმა დაგლოცოთ, ჩემო აჭარლებო, თქვენი საუკუნოვანი წარსულით - ეკლესიებით და მეჩეთებით, მდიდარი ბუნებით და თაღოვანი ხიდებით, თქვენი განუმეორებელი კოლორიტით და კილოკავით! ურთიერთგამტანობითა და სამშობლოს სიყვარულით! მე თქვენ მეამაყებით! მე თქვენ მიყვარხართ! მრავალჟამიერ!

## მილოცვა

### ჯემალ შანიძეს



აჭარის დამსახურებულ და ღვაწლმოსილ ექიმს, ბატონ ჯემალ შანიძეს დღეს, 25 ივნისს 75 წელი შეუსრულდა. ამბობენ, შესანიშნავი ექიმი სიტყვითაც კურნავს ადამიანებსო. ჯემალ ექიმი სწორედ იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც არა მარტო თავის ძალას, არამედ სულს და გულს დებს პაციენტების მკურნალობაში.

ბატონ ჯემალს კარგად იცნობენ არა მარტო აჭარაში, არამედ მის ფარგლებს მიღმაც. იგი, საჭიროების შემთხვევაში, ხშირად ყოფილა სხვადასხვა პროფილის სპეციალისტი, ყოველთვის მზადყოფნაშია და არაერთი სიცოცხლე გადაურჩენია. მან თავის ბრწყინვალე მეუღლე ლუბა შამილაძესთან ერთად, რომელიც პედაგოგია, აღზარდა სამი სასახელო შვილი. ჰყავს 5 შვილიშვილი. შვილებიდან ერთი - ბადრი - ბიზნესსაქმიანობით არის დაკავებული, მეორე - ნინო - ნეფროლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტია და მესამე - გურამი შორეული ნაოსნობის კაპიტანი, დოქტორანტია.

ჯემალ შანიძეს დაბადებიდან მოჰყვება ღიმილიანი ხასიათი და შეუპოვრობა. ყოველთვის ტკბილმოუბარია და ყველა ადამიანის გაჭირვების ტალკვესი. ასეთი შეგნებით და სამედიცინო პრინციპების დაცვით 45-წლიანი სტაჟი დაუგროვდა. იგი დღემდე იმსახურებს ხალხის პატივისცემას, ნდობას და უდიდეს სიყვარულს. ბატონო ჯემალ, გილოცავთ იუბილეს, რომელიც დიდების მწვერვალისკენ მიგაქანებთ, თქვენს პიროვნებას და პროფესიონალიზმს დიდ პატივს ვცემთ! იმრავლოს თქვენნაირმა კოლორიტმა ადამიანებმა!

ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკის თანამშრომლები

## საქართველოს 7-კაცა ნაკრები პორტუგალიაში გაემგზავრა

საქართველოს ნაკრები 13-კაციანი შემადგენლობით ლისაბონში (პორტუგალია) გაემგზავრა, სადაც 25-26 ივნისს რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ითამაშებს. წელს ჩემპიონატი ორ ეტაპად იმართება და მასში 10 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. საქართველო „ა“ ჯგუფში ესპანეთის, პორტუგალიის, ჩეხეთის და ბელგიის ნაკრებებთან მოხვდა, „ბ“ ჯგუფში კი გერმანიის, ლიეტუვას, იტალიის, პოლონეთის და საფრანგეთის გუნდები იასპარეზებენ.

ჩვენი გუნდი 25 ივნისს პორტუგალიას, ბელგიას და ესპანეთს შეხვდება, ჯგუფურ ეტაპს 26-ში ჩეხეთთან დაასრულებს, რის შემდეგაც დაკავებული ადგილის მიხედვით ფლეი ოფში ითამაშებს. რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე ეტაპს კრაკოვი (პოლონეთი) მასპინძლობს, 16-17 ივლისს კი მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი ბუქარესტში (რუმინეთი) გაიმართება.

საქართველოს ნაკრები: თემურ კოხოძე („აია“), ირაკლი სიმსივე („აია“), გიორგი კოშაძე („ხარები“), ნიკოლოზ გიგაური („ყაზბეგი“), გიორგი ჯობავა („ხვამლი“), იაგო ხაბულიანი („არესი“), ლადო მიმინოშვილი („არმია“), გიორგი გელაშვილი („არმია“), ნიკოლოზ რეხვიაშვილი („ყოჩები“), პაატა ბურჭულაძე („ხარები“), ლევან ქუშაშვილი („ყაზბეგი“), ხვიჩა ჯგერენაია („ტიმიშუარა“), ლევან ნარიმანიძე („ხარები“). მწვრთნელები: გია ლაბაძე, ბესიკ ხამაშურიძე.

ამირან ბურიელიძე

შვილები ქეთინო, ირმა, ირაკლი, შვილიშვილები ვახტანგი, მარიამი, გიორგი, ნანა, ნიკოლოზი, შვილთაშვილი დავითი, რძალი ლილიანა ვასაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნანა ნადარაია-ცეცხლაძე.**

პანაშვიდი 27 VI, 6 ს. ქ. ოზურგეთში, გამოსვენება 28 VI, 3 ს. წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრიდან (ბათუმი).

შპს «გაზეთ აჭარისა და ადჟარიას» კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ნანა ნადარაია-ცეცხლაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»

მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა

ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 24/06/22, 20 50 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, თუკი ასეთ ადამიანებს შესაძლებლობებს არ შევუზღუდავთ

## საქართველოს პირველობა – შშმ პირთათვის

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ჭადრაკი ჩვენი რეგიონისთვის მნიშვნელოვანი სპორტის სახეობაა. ჩვენ არაერთი წარმატებული მოჭადრაკეც გვყავს. ძალიან კარგია, რომ აჭარის ფედერაციას სათავეში ისეთი პროფესიონალი მოჭადრაკე უდგას, როგორიცაა საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია*



ფედერაცია უამრავ საინტერესო ღონისძიებას ატარებს. აღსანიშნავია, რომ მას არც პანდემიის დროს შეუჩერებია მუშაობა, არაერთი ონლაინტურნირით გაახარა მოჭადრაკეები, რომელთა შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებიც მონაწილეობდნენ.

19-23 ივნისის ჩათვლით აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, ბათუმის მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლეში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა ჭადრაკში შშმ პირთათვის, როგორც ვაჟებში ისე - ქალთა შორის. მონაწილეობდა ათი სპორტსმენი: ხუთი - თბილისიდან, ორი - ქუთაისიდან, სამი - აჭარიდან. ტურნირი ჩატარდა აჭარის სპორტის დეპარტამენტისა და სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ვაჟთა და ქალთა შორის პირველ ადგილზე გავიდნენ ლერი ტალიკაძე (ქუთაისი) და მარგალიტა ნათელაური (თბილისი), მეორეზე - იოსებ სარიშვილი (თბილისი) და ანანო გოგონაძე (ქუთაისი), მესამეზე - ქალთა შორის ანა მგელაძე (ბათუმი) და ვაჟებში - რომან წითელაძე (ქედა).

საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები ორგანიზატორებმა ფულადი ჯილდოთი, თასებით, მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვეს, სამახსოვრო ფასიანი საჩუქარი კი ყველა მონაწილეს გადასცეს.

- აჭარის ჭადრაკის ფედერაცია ხშირად ატარებს საჭირო და საინტერესო ღონისძიებებს, ამჯერადაც გაახარა მან შშმ პირები. სამომავლოდ ვფიქრობთ, ასეთ ღონისძიებას სალომე კიდევ უფრო გააფართოებს და მასში მეტი მონაწილე ჩაერთვება, თუმც ეს არც ისე ადვილია. ჩვენ კი ამ კარგ საქმეში ფედერაციას ყოველთვის დავუდგებით გვერდით, - გვითხრა აჭარის სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მინდია ქათამაძემ.

ტურნირში მონაწილე თითოეული ადამიანი ძალიან თბილად მოიხსენიებდა შეჯიბრების ორგანიზატორებს, განსაკუთრებით აღნიშნავდნენ სალომე მელიას მათდამი გამორჩეულ ყურადღებასა და სითბოს, რაშიც ქვემოთ მოცემული კომენტარებით თავადაც დარწმუნდებით.

- ჭადრაკის ტურნირში მონაწილეობა ჩემი ოცნება იყო. ამიტომ დიდი სიამოვნება მივიღე. მადლობა სალომე მელიას, ის კარგი ადამიანია, ტურნირში მონაწილეები მანამდე ონლაინრეჟიმში გავიცანი, როცა სალომემ ჩვენთვის ტურნირი ჩაატარა პანდემიის დროს. ახლა კი, ამ ტურნირზე შევხვდით ერთმანეთს და დავუახლოვდით. მიხარია, რომ პირველი ადგილი ავიღე. მადლობა ყველას, ვინც ეს დღეები გვაჩუქა, - გვითხრა მარგალიტა ნათელაურმა, რომელთან საუბარშიც დედა, ნათელა მიგრიაული დაგვეხმარა.

- გარემო შევიცვალეთ და ესეც დიდი საქმეა. მანამდე შარშან ონლაინტურნირში ვმონაწილეობდი სალომეს ინიციატივით. საერთოდ, ტურნირში პირველად ვითამაშე, ჭადრაკი ბავშვობაში უსინათლოთა სკოლა-ინტერნატში ვისწავლე და ძალიან მიყვარს. ბრაილის შრიფტით დაწერილი წიგნი მაქვს და ვკითხულობ, პარტიებსაც ვარჩევ, დაფა ზეპირად ვიცი, ფიგურებს ხელით ვცნობ. სალომე ძალიან გვიდგას გვერდით, მინდა მასაც წარმატება ვუსურვო, - თქვა იოსებ სარიშვილმა.

- მინდა ყველას მადლობა გადავუხადო ასეთი ღონისძიებისთვის, გამარჯვებულებს წარმატება მივულოცო. ასეთი დღეები მოტივაციას მმატებს, გამბედაობა შემძინა, გავიცანი ახალი მეგობრები, - გვითხრა ქედელმა მადონა არძენაძემ.

- ლერი ტაკილაძე მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. 2018 წელს მან მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა ამერიკაში თავის კატეგორიაში. ჭადრაკს ქუთაისის საჭადრაკო სკოლაში სწავლობს, ძალიან მონდომებულია და შედეგიც ჩანს. რაც შეეხება ტურნირს, ძალიან მაღალი ორგანიზებაა, აჭარის ჭადრაკის ფედერაციამ და პირადად სალომემ კარგად ჩაატარეს ტურნირი, ყველა ძალიან კმაყოფილია. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ანდო მას აქ ტურნირის ჩატარება და ეს ნდობა სალომემ სავსებით გაამართლა - კარგად გაართვა თავი. ის თავადაც წარმატებულად მონაწილეობს მნიშვნელოვან ტურნირებში. ახლა მიემგზავრება შეკრებაზე, ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად მოემზადება შეჯიბრებისთვის. მადლობა ყველას, ვინც სალომეს ამ საქმეში გვერდით უდგას. ჩვენმა მეორე მოჭადრაკემ ქუთაისიდან ანანო გოგონაძემ მეორე ადგილი აიღო. ახალ კომპლექსზეც მინდა ვთქვა, კარგია, რომ შენობა ადაპტირებულია. ყველა კეთილგანწყობილი იყო და ამანაც შეუწყო ხელი ამ ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებას, - გვითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, ქუთაისის საჭადრაკო სკოლის დირექტორმა ალექსანდრე არსენიძემ.

- ჭადრაკს დიდი ხანია ვთამაშობ. ასეთ ტურნირში მეორე ადგილი ერთხელ უკვე მქონდა მოპოვებული შშმ პირებში, ასევე მეორე ადგილი ავიღე დიდებში აჭარის ჩემპიონატში. კარგია ასეთი ტურნირები, გამოცდილებას ვიძენთ. ონლაინტურნირებშიც ვმონაწილეობდი. 18 წელია ბათუმის წმ. მოციქულ მატათას სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა გიმნაზია-პანსიონში (დირექტორი იღუმენია სიდონია) ვცხოვრობ, სადაც ყველანაირი პირობები გვაქვს შექმნილი, ჭადრაკიც ხომ იქ შემასწავლეს. ხშირად თუ ჩატარდება ასეთი შეჯიბრებები, კარგია, მეტ გამოცდილებას მივიღებთ. მადლობა ორგანიზატორებს და განსაკუთრებით სალომე მელიას, რომელიც სითბოს არ გვაკლებს, - თქვა ანა მგელაძემ.

- ბავშვობაში ვთამაშობდი ჭადრაკს, გამოცდილი მოჭადრაკე არ ვარ, მაგრამ სალომემ როცა შემომთავაზა, გამიხარდა და დიდი ხალისით ჩავერთე. როცა ჩამოვედი და ვნახე, რა ატმოსფეროში ტარდებოდა, ძალიან მომეწონა. ახლა აქედან ძალიან კმაყოფილი მივდივარ, ჩემთვის ეს დიდი სიხარულია. სალომე მელია ძალიან თბილი, მოსიყვარულე ადამიანია. ძალიან ახლობელი გახდა თითოეული ჩვენგანისთვის, თითქოს ჩემი ოჯახის წევრია. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირზე სხვაგვარად უნდა ვამბობდეთ, ამ ტერმინს შევასწორებდი - ჩვენ შესაძლებლობების მქონე პირები ვართ, თუ ამ შესაძლებლობებს არ შეგვიზღუდავთ. ერთიც მინდა ვთქვა, უსინათლოების ამბები ბევრად უფრო კარგად ვიცი. ჩვენმა ჩემპიონმა გამაოცა - თვალზე დამაგრებული აქვს სპეციალური „მაუსი“, თვალის სენსორებია ეს და ტვინით რასაც ფიქრობს, იმას გადასცემს ეკრანზე. აი, ასე ითამაშა ჭადრაკი, ეს ხომ საოცრებაა, - გვითხრა უსინათლოთა კავშირის წარმომადგენელმა, ჟურნალ „სინათლის“ მთავარმა რედაქტორმა ამირან ღოღაძემ.

- დღეს ძალიან რთულია დამატებითი ხარჯებისთვის სპონსორის პოვნა, ამიტომ მინდა სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდს ჭადრაკის მხარდაჭერისთვის (დამფუძნებელი - ტარიელ ხეჩიკაშვილი, აღმასრულებელი დირექტორი - ვასილ ლიპარტელიანი) გამორჩეულად გადავუხადო მადლობა. სასიხარულოა, რომ ადგილობრივმა მონაწილეებმა ბრინჯაოს მედლების მოპოვება შეძლეს. ვფიქრობ, რომ ეს დამატებითი სტიმული გახდება, რომ კიდევ უფრო მეტი სპორტსმენი ჩაერთოს ასეთ შეჯიბრებებში, - აღნიშნა სალომე მელიამ.

ტურნირის მთავარი მსაჯი გახლდათ საერთაშორისო არბიტრი ალექსანდრე არსენიძე (ქუთაისი).

# დეპრესია და მისი სირთულეები – მოზარდებში

მე-4 გვერდიდან

- პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც ვსაუბრობთ ფსიქიკური ჯანმრთელობის, განსაკუთრებით კი ბავშვების და მოზარდების ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, რთული და საფრთხილოა შემთხვევათა განზოგადება და უნივერსალური რჩევების გაცემა. სიმპტომების სიმრავლისა და მრავალგვარობის გამო, მნიშვნელოვანია წინმსწრები მოვლენების გაანალიზება, გარემო ფაქტორებზე დაკვირვება, ცვლილებების მიზეზების ძიება და სხვა. ამგვარი მიდგომით მინიმუმამდე დაიყვანება შეცდომის დაშვების ალბათობა და რაც მთავარია, ბავშვს ზიანი არ მიადგება არასწორი დიაგნოზითა და ჩარევით. არა მხოლოდ საკუთარ სიტყვებსა და ქცევას, არამედ ოჯახის სხვა წევრების დამოკიდებულებასაც უნდა დავაკვირდეთ ბავშვის მიმართ. მშობელს სიფხიზლე მართებს იმის გამოც, რომ ხშირად დეპრესიისთვის დამახასიათებელი სიმპტომები ცალსახად არ ჩანს ქცევაში. ის შეიძლება შეინიღბოს ისე, რომ გარშემომყოფებისგან სიზარმაცედ, სიჯიუტედ, უპასუხისმგებლობის გამოვლინებად იყოს შეფასებული. მშობელმა უნდა ითანამშრომლოს ოჯახის სხვა წევრებთან და იმ ადამიანებთან, რომლებიც ბავშვს სხვა გარემოში ხედავენ (საბავშვო ბაღის, სკოლის მასწავლებლები). მრავალი წყაროდან მიღებული ინფორმაცია სპეციალისტსაც ეხმარება ბავშვის მდგომარეობის სწორად შეფასებაში. მნიშვნელოვანია მშობლის აქტიური ჩართულობა ამ პროცესში, რათა მშობლები ინფორმირებული იყვნენ. მოზარდის დეპრესიის მსუბუქი ფორმა შესაძლოა უფრო ღრმა დეპრესიულ მდგომარეობაში გადაიზარდოს, შესაბამისად, უყურადღებოდ დატოვება ან თუნდაც თვითმკურნალობა დაუშვებელია. ამ დროს ბავშვს სჭირდება ემოციური მხარდაჭერა, მშობელს უნდა ჰქონდეს მეგობრული დამოკიდებულება შვილთან, რათა იყოს თანამოაზრე. თუნდაც მოზარდი უარს ამბობდეს, მშობელი მინიმალისტურად უნდა იყოს ჩართული და ცდილობდეს მოზარდის გამხნევებას.

**- დამცინავი ტონი შეიძლება თუ არა საბედისწერო აღმოჩნდეს ბავშვებისთვის დეპრესიის გამოსავლენად?**

- რა თქმა უნდა, დეპრესია თავიდანვე ძალიან მძიმე ფორმით არ გამოვლინდება და ეს არის თანდათანობითი პროცესი. ზოგადად, ბულინგიც ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, როცა ბავშვებისთვის ხარ მიუღებელი და დაცინვის ობიექტი, სწავლაში ჩამორჩენასაც განიცდი, არ გსურს რაიმეს გაკეთება, ცხოვრება კარგავს სილაღეს და სულ იმის მოლოდინში ხარ, რომ ვიღაც დაგცინებს. ეს ისეთი ასაკია, როცა ბავშვები ძალიან სენსიტიურები არიან, გადაჭარბებულად აფასებენ ამა თუ იმ მოვლენას.

**- თუ არის აღრიცხული, ჩვენს ქვეყანაში პროცენტულად რამდენ მოზარდს აქვს დეპრესიული სიმპტომები?**

- სიმართლე გითხრათ, ამასთან დაკავშირებით არ ვფლობ ინფორმაციას და თავს შევიკავებ არაზუსტი ინფორმაციის მოწოდებისგან.

**- უკიდურეს დეპრესიაში მყოფი მოზარდები რამდენად არიან სუიციდისკენ მიდრეკილნი? ამ მხრივ რა როლი ეკისრებათ მშობლებსა და სკოლას?**

- არიან მიდრეკილნი, ეს ფიქრები აწუხებთ, როცა უკვე ღრმა დეპრესიასთან გვაქვს საქმე. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია მშობლების ჩრთულობა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მხარდაჭერა, მცდელობა ბავშვთან კომუნიკაციის დასამყარებლად, რადგან მშობლებს ნაკლები დრო რჩებათ ურთიერთობისთვის და განსაკუთრებით მაშინ ერთვებიან პროცესში, როცა უკვე მდგომარეობას ვერ მართავენ. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ დროს მთელი პასუხისმგებლობა სკოლაზე არ უნდა გადავიდეს. აუცილებელია სკოლის ფსიქოლოგი იყოს ჩართული ამ პროცესში, მიეწოდოს ინფორმაცია, თუ მსგავსი შემთხვევა არის დაფიქსირებული, უკეთეს ვარიანტში მაშინ, როცა აცნობიერებენ, რომ ბავშვს აქვს პრობლემები, რაც უფრო ადრეულ ეტაპზე ჩაერთვება ფსიქოლოგი, პროცესი ნაკლებად გამწვავდება. აუცილებელია, მშობელი ფლობდეს ინფორმაციას ბავშვის მდგომარეობის შესახებ, რადგან არის შემთხვევები, როცა ისინი ვერ ხედავენ ამ ყველაფერს, ან პირიქით, აცნობიერებენ პრობლემას და ბოლომდე არიან ჩართული. აუცილებელია იყოთ თანმიმდევრულები და მოქნილები.

**- გარემო, როგორც დამხმარე და ხელისშემშლელი ფაქტორი...**

- ხელისშემშლელი და ამავდროულად დამხმარე არის ის გარემო, სადაც მოზარდები ატარებენ დროს. ეს შესაძლოა იყოს ოჯახი, სკოლა, სამეგობრო წრე, სადაც მოზარდები დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ. გააჩნია, რა კუთხით შეხედავთ ამ პროცესს. მაქსიმალურად ხელშემწყობი უნდა გახდეს გარემო და, სწორედ, ადამიანებმა ან გარემომ უნდა შეცვალონ, ან თავიანთი ქცევა, თუ შედეგზე არიან ორიენტირებული. პრობლემაზე ორიენტირებულობა აუცილებელია ყველა ასპექტში, ყველა კუთხით და ის, რაც დადებითია, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. მნიშვნელოვანია კომპლექსური მუშაობა, ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და მხოლოდ მშობელი ან მხოლოდ სკოლა, ურთიერთთანამშრომლობის გარეშე, ისეთ შედეგს ვერ მიაღწევს, რაც მოზარდის კეთილდღეობისთვის იქნება საჭირო.